ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱՅԻ ՏԵՂԵԿԱԳԻՐ
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК АРМЯНСКОЙ ССР
№ 16 (321) 1978 ՀՈՒԼԻՍ — ИЮЛЬ
ՊԱՏՄԱԿԱՆ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ
ИСТОРИЧЕСКИЕ НАУКИ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՍԱՐԱԿՈՒԹՅԱՆ ՊԱՏՄՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՑԵՐԸ ԱՐՎԵՍՏԱԳԻՏՈՒԹՅԱՆ ԼՈՒՅՍԻ ՆԵՐՔՈ

Ա. ՄԱՐՏԻՐՈՍՅԱՆ — ՀՀ ԳԱԱ թղթակից-անդամ, պատմական գիտությունների դոկտոր, ՀՍՍՀ ԳԱԱ Արվեստագիտության ինստիտուտի տնօրեն

Հայ ժողովրդի ստեղծագործական հանճարի ամենավառ դրսևորումներից մեկը նրա կերպարվեստն է, որն իր հարուստ ավանդներով, ինքնատիպ ոճական առանձնահատկություններով, ազգային գեղագիտական իդեալների մշտական ներկայությամբ ամենուրեք ուշադրություն է գրավել։ Հայ կերպարվեստի պատմության ուսումնասիրությունը հնարավորություն է տալիս ոչ միայն հետևել հայ ժողովրդի գեղարվեստական մտածողության զարգացման ընթացքին, այլև ավելի խորությամբ ընկալել նրա ազգային կերպարը, հոգեբանությունը, աշխարհայացքը։

Հայ կերպարվեստի պատմության ուսումնասիրության գործում մեծ դեր է խաղացել Հայկական ԽՍՀ Գիտությունների ակադեմիայի Արվեստագիտության ինստիտուտը, որի գիտական կոլեկտիվը ստեղծել է հայ կերպարվեստի պատմության մի շարք հիմնարար աշխատություններ։ Ինստիտուտի գիտական կոլեկտիվի ուշադրության կենտրոնում է եղել նաև հայ խորհրդային կերպարվեստի պատմության ուսումնասիրությունը։ Ինստիտուտի աշխատակիցների կողմից հրատարակվել են մի շարք մենագրություններ, ալբոմներ, ուսումնական ձեռնարկներ, որոնք ամփոփել են հայ խորհրդային կերպարվեստի զարգացման ուղին, նրա ձեռքբերումները, ինչպես նաև թերությունները։

Հայ խորհրդային կերպարվեստի պատմության ուսումնասիրության գործում մեծ դեր է խաղացել Հայկական ԽՍՀ Գիտությունների ակադեմիայի Արվեստագիտության ինստիտուտի կողմից 1978 թ. հունիսի 19-ին կազմակերպված գիտական նստաշրջանը, որին մասնակցել են հանրապետության գիտական հաստատությունների, բարձրագույն ուսումնական հաստատությունների, թանգարանների, արվեստագետների ներկայացուցիչներ։ Նստաշրջանում ներկայացվել են 18 զեկուցումներ, որոնք ընդգրկել են հայ կերպարվեստի զարգացման տարբեր ժամանակաշրջանների հարցեր։ Նստաշրջանի մասնակիցները ծանոթացել են նաև Հայկական ԽՍՀ նկարիչների միության ցուցասրահում կազմակերպված «Հայ խորհրդային կերպարվեստ» ցուցահանդեսին։

Նստաշրջանի աշխատանքներին ներկա էին Հայկական ԽՍՀ Գիտությունների ակադեմիայի նախագահ, ակադեմիկոս Ֆ. Տերտերյանը, ՀՍՍՀ ԳԱԱ փոխնախագահ, ակադեմիկոս Ա. Ալիխանյանը, ՀՍՍՀ ԳԱԱ գիտական քարտուղար Ա. Ղազարյանը, ՀՍՍՀ ԳԱԱ Արվեստագիտության ինստիտուտի տնօրեն, պատմական գիտությունների դոկտոր Ա. Մարտիրոսյանը։

Նստաշրջանում զեկուցումներ կարդացին ինստիտուտի գիտական աշխատակիցներ, պատմական գիտությունների դոկտորներ Ա. Ղազարյանը, Ա. Մարտիրոսյանը, արվեստագիտության դոկտոր Ա. Ալեքսանյանը, պատմական գիտությունների թեկնածուներ Ա. Ասատրյանը, Ա. Ղազարյանը, Ա. Ղուկասյանը, Ա. Ավետիսյանը, Ա. Ալեքսան

ახალი ნიშანსვეტი
საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში

(დასასრული)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარების ახალი ეტაპი ხასიათდება სწავლების შინაარსისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფით. მასწავლებლებმა და მეთოდისტებმა მეცნიერების დახმარებით დიდი მუშაობა გასწიეს სწავლების შინაარსის სრულყოფის, პროგრამებისა და სახელმძღვანელოებს ცხოვრებისეულ მოთხოვნათა მიხედვით გადასამუშავებლად. ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დახმარებით მოსწავლეები უკეთ ეცნობიან ბუნებისა და საზოგადოების შესახებ ცოდნის იმ მოცულობას, რომელიც შეესიტყვება თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებსა და სოციალურ პროგრესს. უფროს კლასებში შემოღებულია ფაკულტატიური მეცადინეობა, რომელსაც დიფერენციაციის გარკვეული ელემენტები შეაქვს სასწავლო პროცესში და საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით უფრო ღრმად დაეუფლოს ამა თუ იმ მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლებს. ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლა მიმდინარეობს სწავლებისა და აღზრდის პროცესში, პროგრესული მეთოდების დანერგვასთან ერთად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების გონებრივ შესაძლებლობათა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას, შემეცნებითი აქტივობის გაღვივებასა და დამოუკიდებლობის დამკვიდრებას.

თანამედროვე პირობებში სწავლებამ დღის წესრიგში დააყენა ბავშვთა სასკოლოდ მომზადების აუცილებლობა, ამიტომ ჩვენს რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან გავხსენით მოსამზადებელი კლასები, რომლებშიც ბავშვებს 6 წლის ასაკიდან ვასწავლით. მოსამზადებელი კლასების გახსნამ საშუალება მოგვცა უფრო რაციონალურად გადაგვანაწილებინა დაწყებითი კლასების სასწავლო მასალა და შეგვემსუბუქებინა პირველკლასელებისათვის ახალი პროგრამის ათვისება.

სკოლის მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა, მისი მოდერნიზაცია მოითხოვს უპირველეს ყოვლისა სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებას. ბოლო წლებში ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა. მარტო შარშან საქართველოში აიგო 62 ახალი სასკოლო შენობა 28 ათას მოსწავლე ადგილით. გარდა ამისა, ბევრ სასკოლო შენობას საკუთარი სახსრებით აშენებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ფართო პროგრამას სახავს სოფლის სკოლების განვითარებისა და მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკაში სოფლად ამ დადგენილების შესაბამისად 1974 წლიდან მოკიდებული ყოველწლიურად აშენდება სამჯერ მეტი სასკოლო შენობა, ვიდრე წლეულს.

უახლოეს წლებში ყველა სასოფლო სკოლაში უნდა შეიქმნას საგნობრივი კაბინეტები და სახელოსნოები, დავაკომპლექტოთ სასკოლო ბიბლიოთეკები კიდევ უფრო მეტი ლიტერატურით, გავზარდოთ სასწავლო-თვალსაჩინო საშუალებების, სასწავლო მოწყობილობისა და ავეჯის გამოშვება.

ამ დადგენილებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოფლის მასწავლებლების შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას. დადგენილება ითვალისწინებს საბინაო მშენებლობის დიდ გაქანებას სოფლის მასწავლებელთათვის, დასასვენებელი ბაზების მოწყობას, შეღავათიან პირობებში ტურისტულ-საექსკურსიო საგზურების გაცემას, სამედიცინო და სანიტარულ-საკურორტო მომსახურების გაუმჯობესებას და სხვას.

მოცემულ დადგენილებაში დასახული დიდი პროგრამის ცხოვრებაში განხორციელება სოფლის სკოლას ფრიად წასწევს წინ და თავისი შინაარსითა და მუშაობის დონით კიდევ უფრო დაუახლოებს ქალაქის სკოლებს.

სახალხო განათლების მთელი სისტემის სრულყოფის გზაზე ახალ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების მიღება, რომლის პროექტი საზოგადოებრივი განხილვის, მშრომელთა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შემდეგ დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს სესიამ.

კანონმდებლობის საფუძვლები კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევების ნათელი დადასტურებაა. მასში განზოგადებულია განათლების დარგში მოქმედი კანონმდებლობის ყველა ძირითადი აქტი, ასახულია განათლების საბჭოთა სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

კანონმდებლობის საფუძვლებში ზუსტად არის განსაზღვრული სახალხო განათლების პრინციპები, ურთიერთკავშირშია წარმოდგენილი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ყველა სახე. ფორმულირებულია ყოველი მათგანის ამოცანა, მითითებულია სახალხო განათლების ფუნქციები, აგრეთვე სხვა უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი სკოლის წარმატებითი მუშაობის ხელშეწყობის საქმეში.

სახალხო განათლების დარგში საბჭოთა კანონმდებლობის ურყევი საფუძველია სსრ კავშირის კონსტიტუციის მიერ გამოცხადებული სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სავალდებულო ზოგადი განათლება რვაწლიანი სკოლის მოცულობით და ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართო განვითარება, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, ყველა სახეობის უფასო განათლება, სახელმწიფო სტიპენდიების, მოსწავლეებისა და სტუდენტებისადმი სხვა სახეობათა მატერიალური დახმარების სისტემა, მშრომელთა საწარმოო სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაცია.

წარმოდგენილ კანონმდებლობის საფუძვლებში აღნიშნული სსრ კავშირის სახალხო განათლების ძირითადი პრინციპები ითვალისწინებს:

— ყველა მოქალაქის თანასწორობას განათლების მიღებაში, მიუხედავად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, რელიგიისადმი დამოკიდებულებისა, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობისა, სავალდებულო განათლებას ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის;

— სწავლების ენის არჩევის თავისუფლებას: სწავლებას დედაენაზე თუ სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე.

კანონმდებლობის საფუძვლები დაუფასებელ დახმარებას გაგვიწევს სკკპ XXIV ყრილობის მიერ სახალხო განათლების წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებასა და ჩვენი ხალხის განათლებისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში.

ფიქრები ახალგაზრდა თაობათა მომავალზე მარად დაკავშირებულია მშვიდობასთან. ამიტომ ჩვენი ხალხი დიდად მოხარულია, რომ ბოლო დროს მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, რომელსაც ხელი შეუწყეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამახ-წინანდელმა ვიზიტებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში. საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენი გეგმების აღსრულების საუკეთესო სტიმულია.

დე მარად იყოს მშვიდობა და მსოფლიოს ბავშვთა ბედნიერება!

თამარ ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გალაკტიონ ტაბიძის იუბილეს გამო

17 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

ინფორმაცია იუბილესათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ გააკეთა კომიტეტის მდივანმა ს. ჭილაიამ. მან, აღნიშნა, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის დღესასწაულისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოუშვებს მისი თხზულებების მეათე და მეთერთმეტე ტომებს. დასაბეჭდად მომზადებულია მეთორმეტე ტომი, რომელშიც შევა პოეტის გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები. იუბილესათვის გამოვა რჩეული ლექსების ერთტომეული, რომელიც შეადგინეს გ. აბაშიძემ და მ. ლებანიძემ. მკითხველები მიიღებენ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ მოგონებათა, სტატიათა და ლექსთა კრებულს, რომელსაც გამომცემლობა „განათლება“ გამოუშვებს.

რუსი მკითხველისათვის საიუბილეოდ გამომცემლობა „მერანი“ ბეჭდავს გალაკტიონის „რჩეულს“, ბერეთვე ორტომეულს, რომლებშიც დაიბეჭდება ცნობილი საბჭოთა პოეტების მიერ თარგმნილი ლექსები. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის ქართულ და რუსულ ენებზე მომზადდა მონოგრაფიები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე.

იუბილეს დღეებში გაიხსნება გამოფენები — გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში და პოეტის სამშობლო სოფელ ჭყვიშში.

საქართველოს პროფსაბჭო და რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოება აწყობენ მხატვრული კითხვის ოსტატთა კონკურსს პოეტის ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებისათვის. ქართველი კომპოზიტორები ქმნიან მუსიკალურ ნაწარმოებებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე, რომელთაგან საუკეთესონი შესრულდება იუბილეს დღეებში.

პოეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმები გაიმართება 1-4 ნოემბერს. ჩატარდება საქართველოს მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრების, მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, გაიმართება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

თბილისში სამარკველი ჩაეყრება პოეტის ძეგლს. საიუბილეო ზეიმის მონაწილენი და სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ მშრომელთა მიტინგში მთაწმინდაზე.

საიუბილეო ზეიმი გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში. აქ გაიხსნება პოეტის სახლ-მუზეუმი. ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავენ ჭუთაისის, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონული ცენტრების მშრომელები. მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართება ლიტერატურული საღამოები.

გამოვიდა ღია ბარათები, კონვერტები და მარკები, რომლებზეც გამოსახულია პოეტი.

იუბილეს დასკვნითი აკორდი იქნება დიდი საზეიმო სხდომა პოეტის 80 წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც გაიმართება საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში. პოეტის იუბილეს იდღესასწაულებენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ — მოსკოვში.

სხდომაზე გამოვიდნენ საიუბილეო კომიტეტის წევრები: გ. აბაშიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ჯ. ჩარკვიანი, გ. მარგველაშვილი, დ. ანთაძე, მ. ლებანიძე, გ. ჯიბლაძე, ბ. ჟღენტი, ი. ნონეშვილი, უ. ჯაფარიძე, ა. ბალანჩივაძე, ნ. გურეშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. თავამაიშვილი, თბილისის მთავარი არქიტექტორი შ. ყავლაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. დვალიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. შამათავა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.



სამშობლოს მძლავრი ფრთები

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, 40 წლის წინათ დაწესებული საჰაერო ფლოტის დღე, რომელიც 19 აგვისტოს აღინიშნა, გადაიქცა საბჭოთა ავიაციის განვითარებაში ჩვენი ქვეყნის მიღწევების, საბჭოთა მფრინავებისა და შტურმანების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ყველა სპეციალისტის, მეცნიერებისა და კონსტრუქტორების, საავიაციო მრეწველობის მუშაკებისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობის ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრთა მრავალმილიონიანი არმიის წარმატებათა საბრძოლო დათვალიერების დღედ.

სამამულო ავიაციის განვითარების ისტორიაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მფრინავებმაც. მათ შორის პირველს — **ბესარიონ ქებურიას** მადლიერმა შთამომავლობამ მარადიული ძეგლი აუგო. მფრინავის ოთხმეტრიანი ბრინჯაოს სკულპტურას, რომელიც თბილისის აეროპორტს ამშვენებს, თავს წამოსდგომია მერცხლის ფიგურა, როგორც ჰაერში ლაღი ფრენის სიმბოლო.

ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკეები, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი **თეიმურაზ ბუღნია** და **ჯემალ რუსაძე**, არქიტექტორია რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი **ნოდარ მგალობლიშვილი.**

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით ქართული საბჭოთა თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭათ:

ბაიკოვსკის ექვთიმე ისაკის ძეს — თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

მელვინეთუხუცესს ოთარ ვახტანგის ძეს — რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

სადარაძეს გურამ გიორგის ძეს — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული აკადემიური თეატრის მსახიობს.

სოტკილავას ზურაბ ლავრენტის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

ტატიშვილს ცისანა ბეჟანის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

ჩიმაკაძეს არჩილ ივანეს ძეს — კომპოზიტორს.

ცაბაძეს გიორგი გაბრიელის ძეს — კომპოზიტორს.

ითარგმნა აზერბაიჯანულად

აზერბაიჯანშიც, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ტრადიციად იქცა მოძმე ხალხთა მხატვრული ნაწარმოებების თარგმნა, რის შედეგადაც გამოიცა რუსული, უკრაინული, ქართული, სომხური და სხვა მოძმე ერების ფოლკლორული ნიმუშები. ამასწინათ ბაქოში, სახელმწიფო გამომცემლობა „აზერნაშრმა“ დასტამბა ქართველი მწერლების ნაწარმოებთა კრებული „ძმების“ სახელწოდებით. იგი მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. წიგნის ტირაჟია 20 ათასი. მოთხრობებს, რომლებიც გაერთიანებულია კრებულში, თარგმნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა დილარა ალიევამ.

სტუდენტთა მსოფლიო სპორტული ასპარეზობის — „უნივერსიადა-73"-ის მონაწილეებსა და სტუმრებს

მოსკოვში სტუდენტთა მსოფლიო სპორტული ასპარეზობის გახსნის დღეს გულითადად მოგესალმებით ახალგაზრდობის 1973 წლის ამ უდიდესი საერთაშორისო სპორტული ფორუმის მონაწილეებსა და სტუმრებს.

სტუდენტთა მსოფლიო ასპარეზობა კარგი ტრადიციაა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდობის საუკეთესო ფიზიკური და სულიერი თვისებების განვითარებას. იგი ემსახურება საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის გაფართოების, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური მეგობრობისა და ურთიერთაგების განმტკიცების კეთილშობილურ მიზანს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სსრ კავშირის მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის, ყოველმხრივი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის. ფიზიკური კულტურა და სპორტი მკვიდრდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ უმჯობესდება ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანის გადაწყვეტის პირობები.

დიდი ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უჭერდა და უჭერს მხარს იმ ძალებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთაგებისათვის. ჩვენს დღეებში, როცა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებანი ხდება საერთაშორისო ვითარებაში, მიმდინარეობს შემობრუნება „ცივი ომიდან" დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ, ყველა ქვეყნის სტუდენტ ახალგაზრდობას ეძლევა უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობანი კულტურული და სპორტული ურთიერთობის გაფართოებისათვის, ჰუმანიზმის, ხალხთა ერთიერთაგებისა და მეგობრობის იდეების დასამკვიდრებლად ბრძოლის შემდგომი გააქტიურებისათვის.

სპორტი მხოლოდ მტკიცე მშვიდობის პირობებში შეიძლება გახდეს ნამდვილად ყოველი ადამიანის კუთვნილება, ხელი შეუწყოს თქვენი ახალგაზრდული ხალისის, ძალის, ენერგიის, ცოდნისა და ნიჭის საუკეთესო გამოყენებას აღმშენებლობითი შრომისათვის.

დაე სტუდენტთა მსოფლიო მოსკოვის სპორტული ასპარეზობა არა მარტო სპორტისა და ახალგაზრდობის დღესასწაული გახდეს, არამედ ღირსეულადაც შეუწყოს ხელი მშვიდობისათვის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

ბედნიერ სტარტებს, ახალ სპორტულ გამარჯვებებსა და რეკორდებს გისურვებთ მოსკოვის უნივერსიადის ყველა მონაწილეს.

ლეონიდ ბრეჟნევი



15 აგვისტოს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ისტორიაში უდიდესი სტუდენტთა მსოფლიო ცაისფერ-ყვითელი ასპარეზობის უნივერსიადა — 73-ის გახსნის ცერემონია. მოსკოვში ჩამოვიდა მსოფლიოს 70 სახელმწიფოს ოთხი ათასზე მეტი სპორტსმენი.

საქართველო უნივერსიადაზე

დადგა მსოფლიოს საუკეთესო სტუდენტ-სპორტსმენთა ნანატრი დღე. მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს სტუდენტთა უნივერსიადა. ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიან უკვე მრავალგზის ნაცადი, სახელმოხვეჭილი ქართველი სპორტსმენები. ისინი იცავენ თავიანთ ქვეყნის, მშობლიური უმაღლესი სასწავლებლების ღირსებას. ამ დიდი სპორტული ზეიმისათვის სამზადისზე, უნივერსიადის მნიშვნელობასა და მიზანზე საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შიშლი შარტავა ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ჯემალ ქურხულს.

● „უნივერსიადა-73" — რას გვეტყვით ამ დიდი საერთაშორისო სპორტული ზეიმის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ?

უნივერსიადა სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდობის დამეგობრებისა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამჟამინდელი სპორტული ზეიმი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალის ერთგვარი გაგრძელებაა. წინა უნივერსიადები გაიმართა ტურინში, სოფიაში, პორტუალეგრში, ბუდაპეშტში, ტოკიოში. საბჭოთა სტუდენტებმა ხუთ უნივერსიადაში იასპარეზეს და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს.

ბუნებრივია საყოველთაო დიდი ინტერესი სტუდენტური სპორტისადმი. სტუდენტური ასაკი ჩემპიონობის, რეკორდსმენობის ასაკია. ამის დადასტურებაა თუნდაც მიუნხენის ოლიმპიური თამაშები, რომლის მონაწილეთა 80 პროცენტი სტუდენტი იყო.

საერთაშორისო სპორტული მოძრაობის მიზანია განავითაროს ახალგაზრდობაში მეგობრობა, მშვიდობის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ფიზიკური და სულიერი სრულყოფა. ამიტომაც არის უნივერსიადა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის, ძმათა-ძმობის ამ სწორუპოვარი კერის, სასურველი სტუმარი.

როგორც ვთქვით, უნივერსიადა სპორტული მწვერვალების დაპყრობის გარდა, არის აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის მშვიდობიან მისწრაფებათა დემონსტრაცია. საბჭოთა სტუდენტ-სპორტსმენებმა კი ღირსეულად დაიმსახურეს უნივერსიადის მასპინძლობის უფლება.

● როგორია მსოფლიო უნივერსიადის მასშტაბები?

მოსკოვში სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის ალამი ფრიალებს. ზეიმობს ახალგაზრდობა — ჩვენი სამყაროს იმედი და მომავალი, დედაქალაქს ესტუმრა 70-მდე ქვეყნის 4.500-ზე მეტი სტუდენტი — სპორტსმენი. ესოდენ დიდი მასშტაბურობა სარეკორდოა უნივერსიადების ისტორიაში.

● რა არის უნივერსიადის წამყვანი დევიზი?

სპორტი, მეგობრობა, მშვიდობა, — ამ დევიზით დაიწყო წლევანდელი უველაზე საინტერესო და ღირსშესანიშნავი სპორტული მოვლენა.

● საქართველოს რომელი უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენები და კერძოდ ვინ მონაწილეობს უნივერსიადაში?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან მოჭიდავე ლევან თედიაშვილი, მძლეოსანი ანატოლ მოშიაშვილი, ჩოგბურთელი თეიმურაზ ქაჯუდა, ტანმოვარჯიშე პაატა შამუგია; საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობენ მოჭიდავეები: ნოდარ მოდებაძე, შოთა მორჩილაძე, მერაბ გოგლიჩიძე, წყალბურთელი ვლადიმერ ისელიძე, კალათბურთელები ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია; საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან მძლეოსანი ვიქტორ სანეევი, მოჭიდავე ჯემალ მეგრელიშვილი; ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს ტანმოვარჯიშე რუსუდან სიხარულიძე; თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია მოჭიდავე მიხეილ სალაძე.

● თქვენ დაასახელეთ უკვე ცნობილი სპორტსმენები. როგორც ჩანს, მოსკოვის უნივერსიადაზე ასპარეზობენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშობების, ევროპისა და საბჭოთა კავშირის პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები. ამდენად მათ უნდა ჰქონდეთ დიდი სპორტული გამოცდილება, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორ ემზადებოდნენ სპორტსმენები ამ დიდი ასპარეზობისათვის?

„უნივერსიადა-73"-ის ათვის მზადება ჩვენმა სტუდენტმა სპორტსმენებმა ჯერ კიდევ შარშან დაიწყეს. ტრადიციისამებრ უნივერსიადის წინ მოეწყო რესპუბლიკური სტუდენტური თამაშები, შემდეგ კი ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ საკავშირო სტუდენტურ თამაშებში.

ჩართული სტუდენტური სპორტის ჩემპიონატი აღიარება იყო ის, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი სპორტსმენები გამოვიდნენ გამარჯვებულნი უკანასკნელ საკავშირო თამაშებში.


უნივერსიადის მოსკოვში ჩატარება რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენ-სტუდენტებისათვის გახდა სტიმული ახალი მიღწევებისათვის საზოგადოებრივ საქმიანობაში, სწავლასა და სპორტში. უნივერსიადაში რესპუბლიკის სპორტსმენების წარმატებით მონაწილეობისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები. უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნივერსიადისათვის მზადება გამოიყენეს მასობრივი სტუდენტური სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის. მეტი ენერგიით, აქტიურად წარმართეს საქმიანობა ნაკრებ გუნდებთან მიმაგრებულმა კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა მუშაკებმა, სახოგადოებრივმა აქტივისტებმა.


რესპუბლიკაში უნივერსიადისათვის მზადების პერიოდმა ნაყოფიერად ჩაიარა. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებ გუნდში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ოცამდე წამყვანი სპორტსმენია. ისინი ასპარეზობენ პროგრამით გათვალისწინებული 10-დან 7 სახეობაში. როგორც უნივერსიადის დღეები ცხადყოფენ, ჩვენი სტუდენტები კვლავაც აგრძელებენ ქართული სპორტის სასახელო ტრადიციებს, ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წარმატებაში.

● ვხვდებით შემთხვევით და გვსურს მოგცეთ ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის კიდევ ერთი საინტერესო შეკითხვა:

რას უსურვებდით საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს ახალგაზრდობას?

სპორტი, მეგობრობა, მშვიდობა — ამ დევიზის ცხოვრებაში გატარება ახალგაზრდობის ვალია. ჩვენს თანამემამულეებს ვუსურვებდი, ამ დევიზთან ერთად, სამშობლოს ერთგულნი ყოფილიყვნენ მარად; სადაც უნდა იყვნენ, არ დავიწყებოდეთ სამშობლოს ერთგულების უწმინდესი მოვალეობა!





სურათებზე: ზეიმობენ უნივერსიადის მონაწილენი

„ვინ ვეგებები ღიმილით სამ

საქართველოს ია



„ვალაღდა გული, გალაღდა, ჩოლი ბარისგან სნეული, აქებდნენ თრიალეთის მთას, კარგიც ყოფილა წყეული“, — უთქვამს ძველ მეცხვარეს და მწყემსთა მომავალი თაობისათვის მარგალიტის მარცვალივით სამემკვიდრეოდ დაუტოვებია ამ ლამაზ მთებში დაბადებული და მისი იალაღების სიკეთის ამსახველი ეს პატარა სიმღერა, რომელმაც საუკუნეთა ჭროლვას გაუძლო, იმ მთის ათასფეროვანი ყვავილებივით შეინარჩუნა გაუხუნარი ფერი და გაზაფხულობით იალაღებზე ასული მწყემსი თავის განუყრელ ჩონგურს ამოთ დაჰღიღინებს ხოლმე გულის გასახალვათებლად.

გულით ნათქვამის ამ სიმართლეში მყის დარწმუნდება ადამიანი, როგორც კი გაშლილ იალაღებზე ფეხს შედგამს, მთის მაცოცხლებელ ჰაერს ჩაისუნთქავს და სიცოცხლის სიდიადეს იგრძნობს.

თრიალეთის იალაღები განსაკუთრებით ლამაზია მაშინ, როცა დილის გრილი სიო, მთათა ფერდობებზე ჩამოწოლილ ლეგა ნისლებს მთის ჭიუხებისაკენ აირეკავს და ღამის ბინდი თანდათან გაიცრიცება, როცა კავკასიონის ბუმბერაზი მთებიდან ამოწვერილი მზის ოქროსფერი სხივები მინდვრის ზურმუხტოვან ხაოს დაეცემა და ბიბინა ბალახზე ნამი მარგალიტის მარცვალივით აელვარდება, როცა შურთხი სადღაც ჭიუხში საგანთიადო ზარს დარეკავს, თეოდან მეცხვარეები აიშლებიან და ცხვარ-ბატკანი ნამიან ბალახს მიხარბდება, როცა ბუმბერაზი მთების მწვერვალები ნისლებიდან თანდათან ამოიმართებიან თავიანთი გიგანტური მხრებით და მათ შორის დაფეთებული ირმის თვალებივით გამოჩნდებიან საღამოსა და ფარავნის ტბები, ერთიმეორეს ვერცხლის ზონარებივით შეერთებული პატარა მდინარეებით რომ უკავშირდებიან.

ამ მშვენიერ მთათა უბეში აბალახებენ საკოლმეურნეო ცხვრის ფარებს მამაცური შრომის ადამიანები, რომელთა ვაუკაცურ სინდისს აბარია ასიათასობით ცხვარი და ძროხა. და რომელნიც დაჩში თუ ავდარში არწივის თვალით დარაჯობენ პირუტყვს და დღენიადაგ მის გამრავლებასა და პროდუქტიულობის გაზრდაზე ზრუნავენ.

ჩვენი სამშობლოს ნათელ მომავალს, მთელ მშრომელ ხალხთან ერთად მამაცი მეცხვარეებიც ამ მთათა ფერდობებზე სჭედავენ თავიანთი დაუღალავი მარჯვენით. ეს ის ადამიანები არიან, ვინც საქართველოში ყველაზე ადრე იღვიძებენ, სამშობლოსა და ხალხისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად უთენია იწყებენ შრომას, ტოროლასაც კი ასწრებენ და მართლაც პირველნი ეგებებიან საყვარელი სამშობლოს ყოველ განთიადს.

...თრიალეთის ზურმუხტოვან საძოვრებზე თეთრი ღრუბლის ჭლეებივით შეფენილან ცხვრის ფარები. აქ ამალახებენ ცხვარსა და ძროხას ბოგდანოვკის, ასპინძის, ახალქალაქის, წალკის, წითელი წყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გარდაბნისა და ჭართლის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მწყემსები.

პირველი, ვისაც თრიალეთზე ასვლისას გავეცანით, ეს იყო გარდაბნის რაიონის ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის პირველი ფერმის მეთორმეტე ბრიგადის უფროსი მწყემსი რუბენ ივანიშვილი. მას ცხვრის ფარა ფერდობზე გაეშალა, კავზე დაყრდნობილიყო და გულდადობილი გაჰყურებდა ცოცხალ დოვლათს, თან მარტოობაში ჩაძირული თავისთვის ღიღინებდა:

„მიტომ მიყვარხარ,
ცხვარბევრო,
მთას რომ თეთრადა სდიოდე,
იწველებოდე, შიშაქო,
რძეო შენ გადმოსდიოდე,
მთას იქით ბატკნის უივილო,
მთას აქეთ გადმოდიოდე...“

ვაუკაცის ხმა ნიავს ახლოს მოჰქონდა და ყურთა სმენას გვატკბობდა ღელეში მავალთ. მეცხვარემ თვალი შეგვასწრო, მოზვრისოდენა ნაგაზები დატუქსა და მოახლოებისას ქუდი მოიხადა, დარბაისლურად მოგვესალმა, მთათა საბრძანებელზე მიგვიწვია.

— სოფელ ნინოწმინდიდანა ვარ, — გვითხრა მწყემსმა, — მოგეხსენებათ, გარეკახელები ძველ დროს უმთავრესად მეცხოველეობას მისდევდნენ, მაშინ მიწები არ ირწყვოდა, მწირი იყო და იმდენს ვერას იღებდნენ, რომ წლის სარჩო შეეგროვებინათ. ეხლა რომ არხებმა დაჭრელა ჩვენი მინდვრები და მართლა უკვდავება მოგვყვას, ესე ხომ არ იყო. ჰოდა, ჩემს მამა-პაპასაც ცხვარი ჰყოლია. ჩვენს გვარში ბიჭი რომ წამოიჩიტებოდა და საულვაშეზე ღინღლი ამოუვიდოდა, ხელში კავს მისცემდნენ და ცხვარს მიუყენებდნენ. მეცხვარეობა მაშინაც დიდ სავაჟკაცო და სასახელო საქმედ ითვლებოდა. ის ტიალი სამამულო ომი რომ დამთავრდა, ახლად წამოქოჩრილი ბიჭი ვიყავი. მამაჩემმა ერთ დღეს მითხრა, გაემზადე, შვილო, ხვალ ცხვარში უნდა წაგიყვანო, ამაზე კარგ ხელობას მე ვერას გასწავლი. ოჯახსაც ბარაქა შეემატება და შენც ქალაქური არ გამეზრდებიო. მას აქეთ ჯანდარის საბჭოთა მეურნეობაში ვმწყემსავ ამ დალოცვილ პირუტყვს. მეურნეობას 70.000 ცხვარი ჰყავს, სულ ჩემი თვალიწინ მომრავლდნენ ეს ფარები.

ცხვარში უოფნა კიდევ უფრო შემაყვარა პროფესორმა არჩილ ნატროშვილმა. ის ქართული ცხვრის ახალი ჯიშის გამოყვანაზე ჩვენს მეურნეობაში მუშაობდა და გვერდიდან არ მიშორებდა. ერთხელ მისი გაუმჯობესებული ცხვრის ნოტოს გამაყოლეს მოსკოვში. გამოფენაზე ერთი თვე დავრჩი. იქ მითხრეს, აქ დარჩი, ამ ცხვარს მოუარე, ცოლ-შვილიც ჩამოიყვანე, ბინასაც მოგცემთო, მაგრამ უარი ვუთხარი, ვიფიქრე, ბუნა სადაც გაიზრდება, იმისი ბაღდადი იქ არის-მეთქი და წამოველ. მენაღვლებოდა ამ ჩემი ლამაზი მთებისა, მოსკოვში უამათოდ ვერ გავძლებდი. გაგონილი გექნებათ ვაჟა-ფშაველას ნათქვამი: გულიც იქ იწევს თვალიცა, იქ რომ ლამაზი მთებია, ვინც მე გამზარდა ბედშავი, ვის ძუძუც პირში მდებიაო. იქნებ კარგად არ მახსოვს, მაგრამ ესე თქვა, მგონი, და მეც გულმა აქეთ გამომიწია.

აბა, გახედეთ ამ ჯანშემატებულ ცხვარსა და მთებს, ამათ კაცი თვალს როგორ მოსწყვეტს!

— წლეულს როგორი დოლი აიღეთ, ან მატყლის გამოსავალი როგორი გაქვთ?

— არც ბატკნის გამოზრდაში შევირცხვინეთ თავი და არც მატყლის გამოსავალში. ფერმის მონაცემს ვერ გეტყვით, ჯერ პარსვა არ დამთავრებულა, ცხვარი ჯანთა გვყავს და რაც ვალდებულება ავიღეთ, სიტყვას არ გავტეხთ.

მწყემსმა წამოსვლისას მოიბოდიშა, ვერ გიმასპინძლდებითო, ღელეში გადასულ ფარასთან იჩქარა...

მთათა მყუდროება დაარღვია...

ტბა ფარავნის ზემოთ ნადირბულაყის საძოვრებია. მთებზე შეფენილან ფარები, ღელეში კი მოჩანს ქვითკირის ლამაზი შენობები — ეს წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ცენტრია. აქ არის მწყემსთა საცხოვრებელი ბინები, ფერმის კანტორა, მწყემსთა სასადილო, საწყობი, ცხვრის საპარსი ფარდული და ჭიშთა გაუმჯობესების მეცნიერული ლაბორატორია, სადაც მუშაობენ ცხვრის ჭიშის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის გაზრდაზე.

... გზათ მიმავალნი მეცხვარეებს წამოვეწიეთ. ის-ის იყო თბილისიდან ბოგდანოვკაში მომავალი ავტობუსიდან გადმოსულიყვნენ და ქვეითად ადიოდნენ ფერდობზე, ზემომაჩხაანელთა ფარებისაკენ ისწრაფოდნენ გიორგი ბერუაშვილი და გიორგი წიგინაშვილი.

— ქალაქში ჩავედით გუშინ (ქართველი კაცი ქალაქს რომ იტყვის, გასაგებია, რომ თბილისს გულისხმობს.) შვილები აბარებენ საამშენებლო ფაკულტეტზე, — გვითხრეს მწყემსებმა, — გავიგეთ, კარგი ნიშნები მიუღიათ და დილას ისევ უკან გამოვბრუნდით. ეხლა ცხვრის ღალატი არ შეიძლება. მწყემსები საპარსავზე არიან და ერთი კაცის მოკლებაც ცხვარს აზარალებს.

ეს იყო, ბალახიდან ნამი აკრეფილაყო, ბატკნის ფარები ღელეში ჩამოერეკათ, რომ მოულოდნელად მთათა მყუდროება ცხვრის საპარსავი აგრეგატების გუგუნმა დაარღვია, ბატკნის მორიგი ფარის პარსვა დაიწყო. „ოქროს კანძს“ კანძი ემატება. თავიანთი შრომის ნაყოფით გახარებული მწყემსები დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად შრომობენ. აქ არიან ახალგაზრდა ფერმის გამგე ბაიდო ბოლოთაშვილი, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გივი ბიკაშვილი, კოლმეურნეობის მთავარი ვეტექიმი გიორგი სიფრაშვილი, გამოცდილი მპარსავი მწყემსები.

კოლმეურნეობის 52.000 ცხვარ-ბატკანი ბალახობს თრიალეთის იალაღებზე. ბარიდან კარგი წარმატებით ამოსულან. საქმე ის არის, რომ მეცხოველეთა შორის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას შარშანდელი წლის ოქტომბრის დამლევს ზემომაჩხანელებმა ვალდებულება აიღეს ცხვარი ჯანმრთელად გამოეზამთრებინათ და ყოველი 100 ნერბიდან 90 ბატკანი გამოეზარდათ გეგმით გათვალისწინებული 85-ის ნაცვლად, თითოეულ ცხვარზე კი 3 კილოგრამი მატყლი გაეპარსათ. მეცხვარეებმა პირის გატეხა არ იციან, — თქვეს და სიტყვა მწყემსისათვის შესაფერისი ვაუკაცობით შეასრულეს — ყოველ 100 ნერბზე საშუალოდ 92 ბატკანი გამოზარდეს. მსგავსი წარმატებები აქვთ მალხაზ ნასრაშვილის, იროდი რობატაშვილისა და რაჟდენ მარტყოფლიშვილის ბრიგადებსაც.

ზემომაჩხანელები წლეულს სახელმწიფოს 105 ტონა მატყლს მიჰყიდიან. ახლად გაპარსულ მატყლს აქვე, მეცხვარეთა საიალაღო დაბაში ახარისხებენ, ხოლო ლაბორატორიის გამგე, ახალგაზრდა სპეციალისტი თადო ტოკლიკიშვილი მატყლის ლაბორატორიულ ანალიზს აკეთებს, რომ სახელმწიფომ ცუდი ხარისხისა და დაბალი ჭსოვისუნარის მჭონე მატყლი არ მიიღოს, რომ საბჭოთა ადამიანებს მხოლოდ მაღალი ხარისხის ჭსოვილი დაუმზადდეს. ხუმრობა როდია, უკანასკნელ 10 წელიწადში მარტო ზემომაჩხანელმა მეცხვარეებმა სამშობლოს ათას ტონაზე მეტი მატყლი მიჰყიდეს. ეს საქართველოს მოსახლეობას ორ-ორ ხელ კოსტიუმსა და თითო კაბას ჩააცმევდა!..

კონვეიერები მხოლოდ ქარხნებში მუშაობენ, სოფლის მეურნეობაში ეშვიათად გაიგონებთ ამ სიტყვას, მაგრამ დღეს აქ ნამდვილი ცოცხალი თეთრი კონვეიერია მოწყობილი. ნადირბულაყის მთის ფერდობებიდან ღელეში მობუბუნე საპარსი აგრეგატებისაკენ წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით რიგრიგობით მიერეკებიან ბატკნის ფარებს მეცხვარეები, აქვე თითქმის ყოველ ორ საათში ერთხელ მატყლით სავსე ბარდანებს ტვირთავენ და დამხარისხებელ პუნქტში გზავნიან სატვირთო ავტომობილებით.

...ნამდვილი მთის რომანტიკაა. „ივლიკოს გორას“ გოროზ შუბლს თეთრი ღრუბლები შემოსჭარია, მთის მეორე ფერდობზე მზის სხივებს ლეგა ნისლები გაუხეთქია და დედამიწას დაჰფრქვევია, ახლად გაპარსული სუფთა, უზადო ბატკნები მზის სხივებზე თეთრი სადაფის ღილებივით თვალისმომჭრელად ელვარებენ. მთის ერთ ფერდობზე წვიმს, მეორეზე დარია. ათასფრად ელვარებენ მთის ყვავილები და მუშკ-ამრის სურნელს აფრქვევენ, თვალწარმტაცად ელვარებენ ძოწეულისფრად გადაშლილი ყვავილები და ადამიანს პოეტურ განწყობაზე აყენებენ. ამიტომ არის, რომ მთასაც აქვს თავისი დაუწერელი პოეზია, რასაც მეცხვარეები ზეპირად გადასცემენ თაობიდან თაობას...

შუადღისას აგრეგატებმა უკანასკნელად ამოიხვნეშეს და გაუჩდნენ. მზარეულმა სადილის ზარი დაჰკრა და ნაჯაფარმა მწყემსებმა ხელ-პირი დაიბანეს, გემრიელ კერძს მადიანად შეექცნენ.

— ჩქარათ, ბიჭებო, მოათავეთ სადილი, თორემ, ხომ ხედავთ, აგერ ფერდობზე უკვე ჩამოეფინა იმ ვეფხვის ფარა. დამსხდრებს რომ მოგვისწროს, ჯოხით ამოგვხოცავს, — იხუმრა ერთმა მწყემსმა.

— ჯოხით ამოგვხოცავს, რა, განა თოფჩი ბეგები ვართ? — შეეპასუხა მეორე.

ხალისიანმა სიცილმა გაკვეთა მთის წყნარი ჰაერი და ღელე ხალისით აავსო.

— თქვი, თქვი, ფიდო, როგორ სცემა ბეგსა?

— როგორა და, 1938 წელს ჩვენი ცხვარი თოფჩიების საძოვარზე ბალახობდა. მაშინ ჩვენი მთავრობა შეთანხმებული იყო იმათ მთავრობასთან და ზაფხულობით ცხვარს იქ ვაბალახებდით.

ხომ იცით, მეცხვარე ხარბია და მალხაზსაც იმ ბეგის სათიბში შეერეკა ცხვარი. ბეგს გაეგო, ცხენით მოვარდა და სახრე გადაჰკრა. ცემა ეგრე არ უნდათ, და მალხაზმა სულ შოლტით დაუსერა ყურები. გავაშველეთ. ჩვენს წარმომადგენელთან გვიჩივლა, იმას კი ეთქვა: კიდევ კარგი, რომ ჭკვიანი მწყემსი შეგხვედრია, თორემ მოგკლავდნენო... რაკი ქართველ მეცხვარეს ცოცხალი გადაურჩი, ჩივილი აღარ გეკუთვნისო.

ფარა თანდათან ახლოვდებოდა, მალხაზ ნასრაშვილი, რომელსაც კავი მხარზე გაედო, ფარას წინ მოუძღოდა და ხალისიანად ღიღინებდა:

„შვილი ვარ მშრომელთა
ჭეეყნის,
თავისუფალის ლაღისა,
ვშრომობ და მევე მეკუთვნის
ნაყოფი ჩემი ბაღისა“.

მერე ცოტა ხანს შეჩერდა, მეხტიერესავით სული მოითქვა და სიმღერას მეტი მადლი მისცა:

„აყვავდი მთების ბალახო,
ჭარო, სამყურავ, კვდიავო,
შენ გამისუქე ცხვარ-თოხლი,
მეც წელგაშლილმა ვიარო...“

და, მართლაც, წელგაშლილი შემოუძღვა თავის სამწყსოს, მზესა და ჭარში ბრინჯაოსფრად ხახე-

...ᲐᲛᲝᲒᲚᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲐᲜᲗᲘᲐᲓᲡ!“

ᲚᲐᲚᲘᲔᲜᲖᲔ

გამოვ[illegible] ბრგე ვაუკაცი, რომელ[illegible]ცდამეთორმეტე ზაფხულია ცხვრებზე დადის და სულ ერთხელაც არ უჭამია კილომეტრი მარტოს ნაძოვრებიდან იანვრიდან უვლია.

მალხაზს გადახედა და იკითხა: აბა, — ჰა, როგორ ბატკანი არ გამიწყალოს და გავპარსო, დღეს ფოთა ვართ (ე. ი. მწყურვალზე არიან და ცხვარი კაცილა არისო), ცხვარი მოხედო. — მერე მწყემსი სუფრასთან მსხდარებს დაინახა და ხელი ჩაიქნია, — ჰეჰეი, ბიჭო, პირველად ცხვარი მოიყვანეს, ბინაში ვინ შეგიშვებთ გვეტყოდნენ ხოლმე ბალღი მუდამ თან დავდიოდით და იმ დროს ამოსვლა მაგრამ ნაბადში გაკოდებინებდნენ ცხვარეს თავი უნდა ეკიდოთ, მეცხვარეობა თეატრიანთ გამოწყობა მალე გაპარსე ბატკნიდან 1,8 ტყული მიიღეს. იანვარიშია, ცხვარზე გაპარსვა პროგრამიც მიუხედავად მოადგილეს თითო ცხვარ-ბატკანი

— ფარებს იარაღი საინტერესო ბიჭებსაც — 38 სარქალია. 70 კაცია. პენსია ნაამაგარი ვერ დატია ცხვრის სიყვარულში გასჭირბილში ვერ

როცა ჩვენს სამშობლოში გერმანიის ფაშისტური დაიპყრო შემაზრზენი ამბები. მალხაზი 34 მწყემსი სოფელში ჩამოვიდა. მწყემსების მეათე დღეს პირველი აისხა ვაუკაცთან ერთად დასაცავად წავიდა მწყემსი მალხაზიც. ცხვრებმოდებული ქერქიდან ბებრებით მტერთან ბრძოლა ხანაზე შეიდღეღამეში ქართველ მეომარს მან ბიჭებს უთხრა, რომ ხუთი კაცი დავიჭირეთ მეომარი მოგვკლეს ბრაზისაგან აენთო ცხვარი უნდა განადგურებსო და იმავე ღამეს გაიქცა. ექვს თვეს იომა ფაშისტი გამოიყოფელს მალხაზის ოჯახმა მიზანსაუცდენლად მაგრამ მამაცი მეცხვარე მოხვდა მტრის მიზანში. ცხელიწყალს იშუშებდა... მერე კვლავ საყვარელ დაუბრუნდა.

პატარამ დოვლათით ავსებულ ოჯახი. იმ ერთ-ოთახიან ბაგეილას, რომელშიც ცოლ-შვილთან ერთად ოთხოთახიანი ბინა წამოჭიმა და ახლა ავსო, მაცივარი, ტელევიზორმა დიდი ხანია მის ოჯახში. მწყემსმა სამშობლოს ალი გაუზარდა. ვალერიანეობის ავტომძღოლი — საშუალო სკოლის ცხელი, ილია —

რაიონის ხორცკომბინატის სამაცივრო მეურნეობაში რთულ დანადგარებს განაგებს, ზაური — საქონელმცოდნეა. სამშობლოს საკეთილდღეოდ ფუტკრივით შრომობს მალხაზის ოჯახი.

შრომობს მალხაზი და როგორც თვითონ სიმღერაში თქვა — შრომობს და მასვე ეკუთვნის ნაყოფი თავის ბაღისა. პენსიის გარდა, მისი თვიური გამომუშავება 250-300 მანეთს აღწევს. არც წახალისება აკლია ხანდაზმულ მეცხვარეს. კოლმეურნეობის გამგეობიდან 8 მაჯის საათი, ველოსიპედი, რადიომიმღები და სხვაც ბევრი მიუღია საჩუქრად, მკერდს მთავრობის 8 ჯილდო უმშვენებს...

ᲐᲑᲐᲜᲝ ᲛᲗᲐᲨᲘ

ფარავნის ტბის სანახებს თავზე აბულის მთები წამოსდგომია. ეს საგორავიანი მთა მცირეოდენი წვიმის დროსაც კი ბარისკენ ვებერთელა გოხებს რომ აგორებს და ცხვრის ფარას საშიშროებას უქმნის, გულით შესჯავრებია ძველ მეცხვარეს და ზიზღით უთქვამს:

„დაგწყევლი, აბულის მთებო,
ხევხუო, ხურხუმიანო,
მამწყინდა შენი ყურება,
ეხლა ბრისაკენ მივალო“...

ეხლა ის მეცხვარისთვის საშიში აღარ არის, საკოლმეურნეო ცხვრის ფერმები საბჭოთა ხელისუფლების დროს უსაფრთხო ადგილზე განალაგეს. ამ მთის კალთებზე გაშლილ გოდორების საძოვარზე ბალახობენ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების 120-ათასიანი ცხვრის ფარები. ამ მიუვალ მთებში, სადაც წინათ მეცხვარეებს ერთი მიწური ჭოხიც არ ედგათ, ეხლა სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის, ქვემო ბოდბის ორჯონიკიძისა და ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს მეცხოველეთა დაბები გაუშენებიათ. აქ არა მარტო მწყემსთა ღამის გასათევი კაპიტალური ბინები აქვთ, არამედ წითელი კუთხეებიც კი მოუწყვიათ, სადაც, ახალი ყურნალ-გაზეთების გარდა, რადიომიმღებიც უდგათ და მწყემსები ყოველდღე ისმენენ დიადი საბჭოთა ქვეყნის სასიცოცხლო მაჯისცემას. ძველანაგელებს კი ყველა კოლმეურნეობისათვის დაუსწრიათ, აბანო აუშენებიათ და თავიანთი ფერმის საზაფხულო ცენტრი მეზობელ კოლმეურნეობათა მწყემსების თავშესაყარ ადგილად გადაუქცევიათ.

ცხელი წყლის შხაპი მწყემსებს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს ცხვრის პარსვის დროს... აქაური მეცხვარეები თვალისჩინივით უფრთხილდებიან საკოლმეურნეო პირუტყვს და უკანასკნელ წლებში ცხვრის სულადობა 12 ათასამდე გაზარდეს. როცა რაიონში გულდასმით შეაჯამეს მეცხოველეთა შორის გაშლილი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგები, ძველანაგელმა მეცხვარეებმა სიღნაღის რაიონის მეცხვარეობის საკოლმეურნეო ფერმებს შორის პირველი ადგილი დაიჭირეს, ხოლო ფერმის ბრიგადებს შორის გიორგი მჭედლიშვილის ბრიგადამ პირველობა არავის დაუთმო. ამ ბრიგადის მწყემსები წლეულს თითოეული ცხვრისაგან 4 კილოგრამ „ოქროს კანძს“ ჰპირდებიან სამშობლოს.

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲪᲕᲚᲐ

მწყემსთა მჩქეფარებით აღსავსე ცხოვრებაში ოდითგანვე შეუმჩნევლად მიმდინარეობდა თაობათა ცვლა; საქართველოში იმთავითვე მეცხვარეობა დიდი სიამაყისა და ვაუკაცობის საქმედ იყო მიჩნეული. სოფელში უველაზე ლამაზსა და მეოჯახე ქალს მეცხვარეს უყოყმანოდ მიათხოვებდნენ. ეს კარგი ტრადიცია თანამედროვე მეცხვარეთა ცხოვრებამ შეისისხლხორცა და როცა მოხუც მეცხვარეს ეუბნებიან, გეყოფა ცხვარში მუშაობა, მიიღე პენსია, დაისვენე, შვილებთან და შვილიშვილებთან სიყვარულში სიბერე შეირგეო, იქვე შეარჩევენ სახალხო ჭონებისადმი, საზოგადოებრივი საქმისადმი გულშემატკივარ მამაც ახალგაზრდას და ცხვრის ბედს ანდობენ.

წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ორასმწყემსიანი ცხვრის ფერმის სარქალი ბაიდო ბოლოთაშვილი და მთავარი ზოოტექნიკოსი ამირან იაკობიშვილი მუდამ გულისყურით უსმენენ მოხუც მწყემსებს და მათი დახმარებით ცხვრის მოვლა-პატრონობის ყველა დეტალს სწვდებიან. მათ სწამთ, რომ ცხვრის ღალატი საკუთარი თავისა და სინდისის ღალატია. საქმეც კარგად აწყეს. ამ ცხარე დღეებში, როცა მეცხვარეთა „რთველი“ — პარსვა დაიწყო, ახალგაზრდები უფროსების მხარდამხარ მუხლჩაუხრელად ტრიალებენ ფერმაში და საკოლმეურნეო დოვლათს დოვლათს უმატებენ.

32 ათასი ცხვრის ფარების ბედი გაბედულად მიანდო ამავე რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის გამგეობამ ახალგაზრდებს. ფერმის გამგეს ზაურ ბატიაშვილს, ზოოტექნიკოს ლესტო ალადაშვილსა და ვეტექიმ ბიძინა გონაშვილს ბავშვობიდანვე იტაცებდათ მეცხვარის ხიფათით აღსავსე ცხოვრება და ეს მგლისმუხლიანი ბიჭები იალაღებზე ზრუნვას არ აკლებენ ცხვარსა და მის მომვლელებს.

— ჩვენი ფერმის ახალგაზრდა ხელმძღვანელებმა, — გვეუბნება ბრიგადირი ვახტანგ სეფიაშვილი, — ისეთი ხალისი შემოიტანეს ფერმაში, რომ ჩვენი მწყემსები სოფლისაკენ აღარც კი იყურებიან. თავის დროზე გვეძლევა ნაბადი, საწვიმარი, ჩექმა თუ საჭმელ-სასმელი. ფერმაში კარგად მოაწყეს შრომის ორგანიზაცია, აგიტმასობრივი მუშაობა, ლექციები, საუბრები, უველაფერი ეს თავს ისე გვაგრძნობინებს, თითქოს ქალაქში ვიყოთ. ჩვენი წარმატებაც ამან განაპირობა. ვამრავლებთ ცხვარსა და მის პროდუქტიულობას. წლეულს 70 ტონაზე მეტ მატყლს მივყიდით სამშობლოს...

სოფელ ოზაანის კოლმეურნეობის ფერმაში მწყემსები შეყრებილიყვნენ. ის იყო, ბატკნის პარსვა დაემთავრებინათ და ფერმის გამგე რამაზ ოზაშვილი მათ შედეგებს აცნობდა.

— ღმერთმა გაგახაროს, შვილო, — ჩაილაპარაკა მოხუცმა მწყემსმა ილია მაისურაძემ. — რაც შენ მოხვედი, დასამალი რაღაა, ცხვარმაც ამოისუნთქა და მწყემსებმაც. რაიონულ გაზეთში რომ წავიკითხე, ოზაანელმა მეცხვარეებმა ჩამორჩენა დასძლიესო, ცხვრის სულადობამ 11 ათასს გადააჭარბა და უკანასკნელ ათწლეულში პირველად ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში, გული გამიხალისდა.


მწყემსებს ისიც გაგვეხარდა, რომ ჩვენი მეზობელი სოფლის გამარჯვების ფერმამ, რაც ახალგაზრდა რეზო სულაშვილი ჩაუდგა სათავეში, წინ წაიწია და წლეულს რაიონის ფერმებს შორის პირველი ადგილი დაიჭირა. მაგათმა ცხვარმაც წლეულს 13 ათასს გადააჭარბა.


აგერ ჩვენს მონამგლედ რომ დგას ჯაფარიძელი ბრიგადირი ამირან ყოჩიაშვილი, გეგონებათ ცხვარში დაიბადა და აქ დაბერდაო, ისე უნარიანად უძღვება საქმეს. ბულგარეთშიც კი მიიწვიეს მწყემსთა შეკრებაზე.

ახალგაზრდავდებიან ფერმები, მეცხვარეობაში მოდის ახალი ძალა, ახალი ენერგია, მოდის თაობა, რომელსაც ძვალ-რბილში გასჯდომია სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, იგი ღირსეულად იცავს მწყემსთა პატიოსან და ვაუკაცურ სიტყვას.

მარად ღიმილით ხვდებოდეთ სამშობლოს უველა განთიადს, ჩვენო სასიქადულო მწყემსებო!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲩᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ









ვის საქართველო მარად პატივს სცემს!

იროდიონ ევდოშვილი და ნინო ნაკაშიძე

იროდიონის დაბადების 100 წლისთავის გამო

1912 წლის 9 ივლისს გადასახლებიდან დაბრუნდა ტუბერკულოზით მძიმედ დაავადებული პოეტი იროდიონ ევდოშვილი, რომელსაც მხოლოდ თბილისში ცხოვრების უფლება მისცეს ასტრახანის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს მაშინდელ აცნობა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს, იროდიონ ევდოშვილზე დაეწესებინათ პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობა, რათა იგი თბილისიდან არსად გასულიყო.



ნინო ნაკაშიძე და იროდიონ ევდოშვილი 1914 წელს

ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნისას იროდიონ ევდოშვილს ფულად დახმარებას უწევდა ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი, პოეტის ახლო მეგობარი ნინო ნაკაშიძე. იგი ამავე დროს იროდიონის მეუღლესა და ოთხ შვილსაც უმართავდა ხელს, რომლებიც თბილისში დიდად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. პირადი დახმარების გარდა, ნინო ნაკაშიძე „ნაკადულში“ ხშირად ბეჭდავდა იროდიონ ევდოშვილის თხზულებებს, რათა პონორარითაც დახმარებოდა ხელმოკლე პოეტსა და მის ოჯახს.

1911 წელს იროდიონს თავის მეგობრისთვის პოეტ სანდრო შანშიაშვილისთვის მოუწერია: „...სულით ობლობა, მატერიალური გასაჭირი, მენატრება ადამიანი, რომ ხანდახან გულს შვება მივცე მასთან გამოლაპარაკებით. ქონებრივი მდგომარეობა კი ისეთია, რომ ხშირად მენატრება „არჟანოის“ პური და თუ საკმაოდ ვიშოვე ხოლმე, ქადასავით შევექცევი“.

ნინო ნაკაშიძე გადასახლებაში ფულთან ერთად ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც უგზავნიდა მეგობარს. 1911 წლის 22 დეკემბრით დათარიღებულ წერილში იროდიონი საზღვარგარეთ მყოფ სანდრო შანშიაშვილს ატყობინებს — „სამი გაზეთი მომდის: „თემი“, „სახალხო გაზეთი“ და ქუთათური „კოლხიდა“.

იროდიონს სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენიც — ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკო კურდღელაშვილი, სიკო ფაშალიშვილი — ეხმარებოდნენ, მაგრამ ნინო ნაკაშიძე მაინც სხვა იყო. იგი იროდიონს გადასახლებაშიც სთხოვდა საბავშვო ლექსები და მოთხრობები ეწერა და გამოეგზავნა ჟურნალში დასაბეჭდად, რაც მწერლისათვის, ყველაფერთან ერთად, სულიერი გამხნევებაც იყო. მიუხედავად მძიმე მატერიალური და სულიერი მდგომარეობისა, იროდიონი ასრულებდა ნინოს თხოვნას.

1911 წელს „ნაკადულში“ გამოქვეყნდა იროდიონის ლექსები და მოთხრობები. „წერილი ბებიას ჩურჩხელებთან“, „ჩურჩხელების პასუხი ჭალბატონ თამრიკელას“, „ჩურჩხელების ჩხუბი“, „გულითადი მეგობრობა“. „ახალი ხალათი“, „მწყემსი გოგონა“, „მიმველე, ცისკარ!“, „ბიჭი გოგია“, „გენაცვალოს პაპა“, „ჩახმახოს წინდა“, „საჩუქარი“, „უმბედური ქორბუდა“, „კალოზე“...

1912 წელს კი — „მურია, მელა და ბებია“, „მარიკოს მერცხალი“, „გოგის დოღი“, „უი, ჯარავ, ჯარავო!“, „მტირალა გიშერა“, „საწყალი ბიჭიკო“, „ქაჯის ბაწარი“, „ნადირობა“, „ალი“ და სხვა.

მაგრამ ნინო ნაკაშიძის უანგარო დახმარება და მზრუნველობა იროდიონისადმი მარტო ამით როდი ამოიწურებოდა. როგორც ნინო, ისე მისი მეუღლე — მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ნაკაშიძე — დიდად აფასებდნენ იროდიონის პიროვნებასა და პოეტურ ნიჭს. ცოლ-ქმარი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყოთ მძიმე სენით დაავადებული მწერლის გამოჯანმრთელებისათვის, ეხმარებოდნენ წაღვერსა თუ სოხუმში გამგზავრება-მკურნალობაში. მათი უშუალო ხელშეწყობით იროდიონი 1914 წელს მკურნალობას იწყებს წაღვერში მღებრიშვილების კერძო პანსიონში, ხოლო 1915 წლის ივლისიდან 20 სექტემბრამდე კვლავ წაღვერშია ნინო და ილია ნაკაშიძეებთან ერთად.

ნინო ნაკაშიძის უშუალო მონაწილეობით ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარუდგინა თხოვნა, რომ დახმარება აღმოეჩინათ იროდიონ ევდოშვილისათვის. „ვინ არ იცის, რომ ხელმოკლეობასთან მუდმივი ბრძოლა სულითა და ხორცით სჩაგრავს ადამიანს. ეს ქართველ მწერლობასაც ნათლად ემჩნევა. საჭიროა დავეხმაროთ, რომ სული მოითქვან, ძალონე შემოიკრიბონ და მათ კალამს სიცოცხლე შეემატოს... სულისა და ხორცის განახლების წყარო ბუნების კალთაა. ამ ბუნების კალთაში მწერლებისათვის თავშესაფარის შექმნა მწერლების დახმარებას უდრის“.

ნინო ნაკაშიძის ინიციატივით ქართველ მოღვაწეთა წაღვერის დასასვენებელი სახლის ასაგები კომისიაც კი შეიქმნა და საკმაო რაოდენობის თანხაც შეგროვდა სხვადასხვა ქველმოქმედთა და ქართული მწერლობის გულშემატკივართა შემოწირულებით, რაც ოფიციალურად გაზეთშიც ქვეყნდებოდა, მაგრამ წაღვერში მწერალთა დასასვენებელი სახლის აშენებას იროდიონი ვეღარ მოესწრო.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, როცა მოულოდნელად შეიტყო უერთგულესი მეგობრის — ვაჟა-ფშაველას გარდაცვალება.

სამძიმრის დეპეშაში ღრმა მწუხარებით აღსავსე იროდიონი წერდა: „ვაჟას დაკარგვის ცნობა მოწამლულ ისარივით მოხვდა ჩემს გულს. ავადმყოფობა ნებას არ მაძლევს უკანასკნელად ვეამბორო მეგობარს. სამშობლომ დაჰკარგა თავისი სიამაყე და მშვენება. სიტყვა ვერ მიპოვნია ნუგეშისათვის“. ვაჟას გარდაცვალების შემდეგ იროდიონსაც დიდხანს აღარ უცოცხლია, ავადმყოფობა უფრო გაურთულდა და 1916 წლის 15 მაისს გარდაიცვალა.

იროდიონის გარდაცვალებამ დაამწუხრა ქართველი მოწინავე საზოგადოება. მაგრამ ახლო მეგობართა შორის ყველაზე მეტად ნინო ნაკაშიძე იყო შეწუხებული, რომელიც წლების მანძილზე უანგარო დახმარებასა და თანაგრძნობას უწევდა ნიჭიერ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული საბავშვო მწერლობის დიდ ამაგდარს იროდიონ ევდოშვილს.

ნინო ნაკაშიძის ჟურნალი „ნაკადული“ წერდა: „ქართველ ხალხს მწვავედ მოხვდა გულში მისი გარდაცვალების ამბავი და ატირა ამ დანაკლისმა, მაგრამ განსაკუთრებით მისი დაკარგვა დააკლდათ ბავშვებს... „ნაკადულის“ მკითხველებმა იციან, როგორი სხივოსანი სიყვარულით უყვარდა მას ყველა ბავშვი, ვინც უნდა ყოფილიყო ის... მათი სიხარულით ხარობდა, მათი მწუხარებით დარდობდა... ღარიბი იყო იროდიონი ქონებით, ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ ამავე დროს მდიდარი იყო ის მადლიერი ხალხის სიყვარულით“.

ესე დაიტირა ნინო ნაკაშიძემ თავისი „ნაკადულის“ უახლოესი თანამშრომელი, სასიქადულო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იროდიონ ევდოშვილი.

დავით ჯუღლიაშვილი



იროდიონ ევდოშვილი (მარცხნიდან პირველი) და შიო მღვიმელი (ზის შუაში) ვაჟა-ფშაველასთან (მარჯვნიდან პირველი) და მის ძმებთან — ბაჩანასთან, თედოსთან და სანდროსთან ერთად.

კლატონ იოსელიანი

XIX საუკუნის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს ძეგლების დაუცხრომელმა მკვლევარმა, არქეოლოგ-თეოლოგმა, ლიტერატორმა და ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ეროვნული კულტურის შესწავლა-განვითარების ისტორიაში.

გასული საუკუნის 35-იან წლებში ერის სასიქადულო პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად პლატონ იოსელიანი ითვლებოდა თბილისის სალონების ერთ-ერთ საპატიო წევრად, სადაც დაიბადა იდეა „საქართველოს რიგიანი ისტორიის“ შედგენისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლში გამართულ ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე სწორედ პლატონ იოსელიანს დაევალა დაეწერა ძველი საუკუნეების ისტორია; ამ დიდი ეროვნული საქმის შესრულება ძნელი საქმე ჩანდა — ისტორიული მატიანეები, საეკლესიო გუჯრები გაფანტულ-განადგურებული იყო; ერთადერთ შერჩენილ მატიანედ „ქართლის ცხოვრება“ ითვლებოდა.

პლატონ იოსელიანმა ეს საშვილიშვილო ნაშრომი — „საქართველოს ისტორია“ 1838 წლის 16 ივნისს დაასრულა.

„ისე მწყურიან სტრიქონები, მისი ენებით სავსე პათოსი, რომ მისი დაწაფება მირჩევნია ყველაფერს. ხან ვით მწარი, მეუდაბნოე-საღვთო სიტყვათა წარმომთქმელი, ხან ვით სარდალი, შორს გამჭვრეტელი, ხან ვით მგოსანი ჰანგად და კითხვად გადაქცეული — მიდგება თვალწინ...“ წერდა გიორგი ლეონიძე პლატონ იოსელიანის ისტორიის შეფასებისას და მის ნახელავს ჰეროდოტესა და ტაციტის დარბაისლურ კილოს ადარებდა.

პლატონ იოსელიანი დაიბადა 1809 წელს თბილისში. იგი იზრდებოდა დიდი ტრადიციის მქონე ქართულ ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო დავით ალექსიშვილთან, რომელიც დავით რექტორად იწოდებოდა თელავის სემინარიაში მოღვაწეობის გამო.

1817 წელს პლატონ იოსელიანი სასწავლებლად მიაბარეს თბილისის ახლად გახსნილ სემინარიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1829 წელს და იქვე დატოვეს მოსამზადებელ სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც ასწავლიდა რუსულ ენას, არითმეტიკასა და კატეხიზმოს.

1831 წლიდან პლატონ იოსელიანი სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნეს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, სადაც დაუახლოვდა იქ მყოფი ქართველი ბატონიშვილების შვილებს და 4 წლის განმავლობაში მათ ნაყოფიერად ამეცადინებდა, უნერგავდა დედაენის სიყვარულსა და მისი შესწავლის აუცილებლობას.

1835 წელს სასულიერო აკადემიადამთავრებული პლატონ იოსელიანი ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით დაბრუნდა სამშობლოში და მასწავლებლობა დაიწყო თბილისის სასულიერო სემინარიაში. პარალელურად სხვა სასწავლებლებშიც ასწავლიდა ფიზიკას, ლოგიკას, რიტორიკას, ფსიქოლოგიას, ზნეობით ფილოსოფიას, ქართულ და რუსულ ენებს, საღვთო ისტორიას, საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურას.

1842 წლიდან თბილისში აღმოცენდა ქალთა საგანმანათლებლო კერა, რომელსაც „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი“ ეწოდა. ამ მოვლენას პლატონ იოსელიანი აღტაცებით გამოეხმაურა. პლატონ იოსელიანი აქაც მიიწვიეს.

10 წლის განმავლობაში პლატონ იოსელიანი უცვლელი პასუხისმგებელი რედაქტორია გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკისა“. ამავე დროს იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამუდმებით იბეჭდებოდა ახალგაზრდა მკვლევარის საინტერესო სამეცნიერო ნარკვევები, რომელთა რიცხვი სამასს აღემატება.

საქართველოს სიძველეთა შესწავლით გატაცებული პლატონ იოსელიანი მოგზაურობს საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულში, მიდის სტამბულსა და საბერძნეთში, ადის ათონსა და სინას მთაზე. სწავლობს ქართული მონასტრების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

დიდ ინტერესს იწვევს მისი შრომები: „თბილისის სიძველენი“, „საქართველოს მოკლე ისტორია“, „მცხეთის ტაძარი“, „დიდი მოურავის ცხოვრება“, „საქართველოს ძველი და ახალი ქალაქები“, „მთაწმინდა“, „ქალაქ დუშეთის აღწერა“, „მოგზაურობა დაღესტანში“, „შოთა რუსთაველი“, „მოგზაურობა თბილისიდან მცხეთამდე“, „ქართველები და მათი ძველი სახელწოდება“, „ქართული წელთაღრიცხვა“, „კაცხის ტაძარი იმერეთში“, „მოგზაურობა კახეთში“, „მარტყოფის მონასტრის აღწერა“, „გელათის მონასტერი“, და „კაბენის მონასტერი“. XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის უდიდეს შედევრს წარმოადგენს ჩვენი წარსულის ყოველგვარი დეტალების ღრმა ცოდნითა და პლატონ იოსელიანისებური დარბაისლური მაღალი ტონით დაწერილი „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“.

პლატონ იოსელიანმა დიდი დრო და ენერგია მოახმარა საქართველოს სინოდის კანტორაში მუშაობას. მან ოთხასამდე ქართული დოკუმენტი გაარჩია, რომლებიც გამოაქვეყნა ორ ტომად.

1843 წელს პეტერბურგში მანვე გამოაქვეყნა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შთამომავლობათა საოჯახო ენციკლოპედია, რომელიც მომავალ მკვლევარებს დღესაც დიდ დახმარებას გაუწევს.

პლატონ იოსელიანმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული ლიტერატურის უკვდავი ძეგლების გამოქვეყნების საქმეს.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან პლატონ იოსელიანი შეუდგა ქართული საერო კალენდრისა და გრამატიკის შედგენას, ქართული ლიტერატურის ნიმუშების ბეჭდვას. მას დიდი ამაგი მიუძღვის მოძმე ოსი ხალხის დამწერლობისა და მისი კულტურის შესწავლის საქმეშიც.

„მან ბევრი კვანძი გახსნა ქართულ ისტორიაში, ბევრი რამ გამოარკვია, ბევრიც გადაარჩინა დაღუპვას (ხელნაწერები და წარწერები) და დაგვიტოვა ძვირფას მასალად. საქართველოს გარეთ ბევრს გააცნო საქართველო. ბევრ გადაგვარებულ ქართველსაც შეაყვარა სამშობლო“ — ეს იხსენიებდა ანა და იოსებ იმედაშვილების ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წელს პლატონ იოსელიანს მისი გარდაცვალების 40 წლისთავზე.

პლატონ იოსელიანი იყო ოდესის სიძველეთა და ისტორიის საზოგადოების ნამდვილი წევრი, პეტერბურგის არქეოლოგიის ნუმიზმატიკური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, საბერძნეთის (ათენის) სამეფო სიძველეთა საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი და კავკასიის სტატისტიკური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი.

1875 წლის 16 ნოემბერს გაზეთები „კავკაზი“ და „დროება“ იუწყებოდნენ: „წუხელ საღამოს 15 საათზე დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ძველი პატივცემული მოღვაწე ქართული ლიტერატურისა პლატონ იოსელიანი“. მისი ცხედარი დაკრძალეს სოლოლაკის ჭიდის ძირში, „ამაღლების“ ეკლესიაში და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პლატონ იოსელიანის ღირსად მივიწყებული ნეშტი მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდი პატივისცემით გადაასვენა დიდუბის პანთეონში.

ეთერ მაჭავარიანი

ათგზის ჩემპიონი



დღეს ომარის დაბადების დღეა. 29 წელი შეუსრულდა. მეგობრებმა დიდი თაიგული მიართვეს. დეპეშაც ბევრი მიიღო. უმეტესს თბილისიდან უგზავნიდნენ. ვთხოვე, ვარჯიშის შემდეგ ტალინის ერთ-ერთ რესტორანში გვესადილა. მადლობა გადამიხადა და დასძინა — დღეს არა და, ესპანეთიდან რომ დავბრუნდები, მაშინ აუცილებლად აღვნიშნოთო ჩემი დაბადების დღე.

„დაბადებისა და გამარჯვებისაც“, მინდოდა დამემატებინა ომარის ნათქვამისათვის, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე. მომავალი ასპარეზობის შედეგებზე წინასწარ ლაპარაკი არ უყვართ სპორტსმენებს.

— ომარ ფხაკაძე, სერგეი კრავცოვი, ანატოლ იაბლუნოვსკი ტრეკზე! — გაისმა ტალინის ველოდრომის რადიოში და სასპორტო ფორმაში გამოწყობილი იუბილარი ოთახიდან გავიდა.

ტრიბუნები ხალხით არის სავსე. ველოსპორტის ქომაგნი ინტერესით შესცქერიან საბჭოთა კავშირის ნაკრების წვრთნას. მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები თავბრუდამხვევი სისწრაფით დაქრიან ტრეკზე. ომარს დანარჩენებისაგან ადვილად არჩევს თვალი. ახოვანი, ბეჭებში ლაღად გაშლილი, დაკუნთული უმალ მძიმე წონის ფალავანს ჩამოგახსენებს, ვიდრე სპრინტერს.

...მოთელვა მთავრდება და სპორტსმენები ერთმანეთს მიყოლებით მიეშურებიან მწვრთნელისაკენ. რასტისლავ ვარგაშკინი, წარსულში შესანიშნავი ველოსპორტსმენი, ცალ-ცალკე ესაუბრა თითოეულს. უხსნის, ძირითადად რაზე გაამახვილოს ყურადღება, რა ტექნიკური ელემენტი დაამუშაოს, ტაქტიკურად როგორ წარმართოს ბრძოლა... ვარჯიში განახლდა. სპრინტერები კი კვლავ ისვენებენ.

— დაამთავრეთ ვარჯიში? — ხმადაბლა ვეკითხები ომარს. — არა, მთავარი ეხლა იწყება, — მიპასუხა და მეგობრებს ხელით ანიშნა, ტრეკისაკენ გავწიოთო. მწვრთნელი, რვეულში რაღაცის წერით რომ იყო გართული, თითქოს მიუხვდა ომარს გულისნადებს, მიკროფონი ჩართო და გამოაცხადა: — სამი წუთის შემდეგ სტარტზე სპრინტერები გამოვლენ, გთხოვთ გაათავისუფლოთ ტრეკი. შემდეგ ომარს მოუბრუნდა და უთხრა: — როგორც ყოველთვის, პირველ ნომრად შენ წახვალ, სიჩქარე შეაძლებლობის ზღვარს უნდა მიუახლოვო. ეცადეთ გუშინდელი მარცხისათვის რევანში აიღოთ, — ამას უკვე სერგეისა და ანატოლის გასაგონად ამბობს მწვრთნელი, თან ღიმილით დასძენს, — იუბილარს ძღვნად საკუთარი გამარჯვება უსახსოვრეთ... — ბიჭები ხმამაღლა იცინიან.

— გამარჯვება ადვილად არ დაითმობა, დღეს ჩემი დღეა და წაგებას ვერ დავიბედებ, — აცხადებს „პროტესტს“ ომარი და სამივენი სტარტისაკენ მიეშურებიან...

* * *

დღეს ჩემი დღეა, ვერ დავთმობო, — თქვი და ყველა გარბენი მოიგე. შენისთანა კაცზე იტყვიან: ძალი შესწევს ქადილისაო. თუმცა, რა ქადილზე ვლაპარაკობ — ესე ხმამაღლა, აუცილებლად მოვიგებო, მხოლოდ დღეს, საკუთარი დაბადების დღეს დაიჩემე. სხვა დროს არ გითქვამს, აუცილებლად გავიმარჯვებო, მაგრამ სულ გამარჯვებული ხარ. აი ათ წელიწადზე მეტია მთელ საბჭოთა კავშირში ბადალი არ მოეძებნება. ქვეყნის ათგზის ჩემპიონს პლანეტის ვერც ერთი ველომრბოლი ვერ შეგედრება სისწრაფეში: შენს მიერ 200 მეტრზე ნაჩვენები დრო — 10,6 წამი — დღემდე ხელშეუხებელია, ჯერ კიდევ. 1965 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონის სახელი მოიპოვე...

ბევრი, ბევრი დღე აქციე, ომარ, შენად ამ ათი წლის განმავლობაში, ყველას ვერ ჩამოვთვლი...

* * *

საკუთარი ველოსიპედი არ ჰქონდა. მასზე ამხედრება და გასეირნება კი გულით ეწადა. სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, ველოსექციაში ჩაეწერა. ორი წელიწადი ივარჯიშა ომარმა და... თანატოლებს შორის 25 კილომეტრზე, რბოლაში საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემების და რეაქციის პატრონს, რომელიც ტრასის ცალკეულ მონაკვეთზე თავბრუდამხვევ სისწრაფეს ავითარებდა, შესთავაზეს, სპრინტში მოსინჯეო ძალა. მოხდა სასწაული, ომარმა ერთ კვირაში საქართველოს რეკორდი დაამყარა — 200 მეტრის გავლას 11,9 წამი მოანდომა.

...პირველი დიდი გამარჯვება ახალგაზრდა სპორტსმენმა 1963 წელს გამართულ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე იზეიმა. აი როგორ გაიხსენა ტალინში მყოფმა, საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა კარლო შენგელიამ ომარის მიერ დიდ სპორტში ომახიანად ნათქვამი პირველი სიტყვა: „ფხაკაძე სპრინტისათვის არის დაბადებული, მისი ყოველი გამარჯვება კანონზომიერია. ლოგიკური იყო მის მიერ მოპოვებული ის შორეული გამარჯვებაც. შემთხვევითობა სპორტის ამ სახეობაში გამორიცხულია და თუ მაინც მოხდა სასწაული და შენზე ძლიერი ერთი მეტოქე დამარცხე, აუცილებლად გძლევს მეორე და შენს ადგილს მიგიჩნევს. ომარმა საკმაოდ ილოლად დაამარცხა პირველი მეტოქე, შემდეგ — მეორე, მესამეც და ნახევარფინალში გავიდა. მან ეს შეხვედრაც მოიგო, მაგრამ ტრავმა მიიღო და ყველას ეგონა, ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერი ბოდნქსი, ფინალში საკმაოდ ილოლად რომ გავიდა, სპარტაკიადის ჩემპიონი უბრძოლველად გახდებოდა. მაგრამ ომარი მაინც გავიდა სტარტზე... და სპარტაკიადის ღირსეული ჩემპიონი გახდა.

გულშემატკივრებმა 100-კილოგრამიანი გიგანტი ტრეკიდან ხელში ატაცებული გაიყვანეს. ეს იყო 1963 წლის 12 აგვისტოს, ზუსტად 10 წლის წინათ, იმ დღეს ომარს ცხრამეტი წელი შეუსრულდა“.

1964 წელს ომარი კვლავ საბჭოთა კავშირის ჩემპიონია, ხოლო ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობებზე მე-9 ადგილზე გამოვიდა და იგრძნო, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოსთან ბრძოლა არც ისე ძნელი ყოფილა და აი, ქართველი ველომრბოლი 1965 წელს მსოფლიოს ჩემპიონი ხდება! სანამ ფხაკაძის ამ დიდ გამარჯვებაზე გეტყოდეთ, მისი სპორტული ბიოგრაფიიდან ერთი დეტალი მინდა გავიხსენო: 1963 წლიდან, წლევანდელი წლის ჩათვლით, ომარ ფხაკაძე თერთმეტჯერ დადგა სტარტზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად და მხოლოდ ერთხელ — 1965 წელს დაუთმო სხვას პირველობა. ამ მარცხმა ომარი ისე „გააბრაზა“, რომ ესპანეთში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. პირველი ძლიერი მეტოქე, რომელსაც ომარმა მსოფლიო პირველობაზე მოუგო, იტალიელი ვერზინი გახლდათ. შემდეგ კი თვით სპრინტის მეფეს, დანიელ მორელონს შეხვდა. პირველი სერია დანიელმა ადვილად მოიგო, მეორეში კი ჭართველმა სპორტსმენმა იმარჯვა. ყველაფერი მესამე სერიაში უნდა გადაწყვეტილიყო. ფინიშთან მიახლოებულმა ომარმა ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ მორელონს გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვა და უძლიერეთა შორის უძლიერესად აღიარებული მეტოქე მთელი 10 მეტრით ჩამოიტოვა, რაც ესოდენ იშვიათია სპრინტის ისტორიაში. ფინალში ომარი ჯორდანო ტურინს შეხვდა და... მსოფლიოს მოედო სენსაცია: პირველად საბჭოთა ველოსპორტის ისტორიაში ქართველმა ჭაბუკმა ომარ ფხაკაძემ პლანეტის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა!

ჩვენი ქვეყნის სპორტის გულშემატკივრებმა ღირსეული მიუზღეს ომარს ამ გამარჯვებისათვის. იმ წელიწადს იგი საბჭოთა კავშირის №1 სპორტსმენად დასახელეს, რაც ესევე პირველი იყო ქართული სპორტის ისტორიაში.

მეტოქის ლამაზი, რაინდული გამარჯვებით მოხიბლულმა ჯორდანო ტურინმა თავის ბიჭუნას, რომელიც იმ დღეებში შეეძინა, ომარი დაარქვა. ჟურნალისტებთან საუბარში კი განაცხადა: „ჩვენს შორის გაიმარჯვა ღირსეულმა. ომარ ფხაკაძე, გარდა იმისა, რომ დიდი სპორტსმენია, რაინდია, რომლისთვისაც უცხოა მედიდურობა, არავაჟკაცური ბრძოლა. მე ჩემ შვილს ჩემს მეტოქეთა შორის უველაზე ღირსეულის სახელი დავარქვი“...

ტურინს ამ რამდენიმე ხნის წინათ ჰოლანდიელმა სპრინტერმა კომპანმაც მიჰბაძა და თავის შვილსაც ომარი დაარქვა. არჩევანი კი ესე განმარტა: — „მე მინდა ჩემი შვილი ომარ ფხაკაძეს დაემსგავსოს“.

1965 წლიდან მოყოლებული, ფხაკაძემ ბევრი სასახელო გამარჯვება მოიპოვა. 1966 წელს იგი მსოფლიოს უძლიერეს სპრინტერთა შორის მესამედ დასახელეს, 1967 წელს კი ზედიზედ მოიპოვა ტულის, ამსტერდამისა და კოპენჰაგენის დიდი პრიზები. 1969 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ხდება — მორელონთან ჰიდილში ფოტოფინიშმა უძლიერესი დაასახელა...

1972 წელს ომარმა დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ თბილისში აშენებულმა ახალმა ველოტრეკმა, შეგნებამ — თანამემამულეთა წინაშე თითქმის არასოდეს გამოსულვარო, განზრახვა შეაცვლევინა, განაახლა წვრთნა და კვლავ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მიუნხენის ოლიმპიადაზე იგი მეხამე იყო. — ეს გამარჯვებაც საბჭოთა კავშირის სპრინტის ისტორიაში პირველი იყო.

* * *


კიდევ რამდენიმე დღე და ომარ ფხაკაძე ესპანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგება. მსოფლიო პირველობას ამჯერად მახპინძლობს ქვეყანა, სადაც 1965 წელს იგი გამარჯვებულის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მწვრთნელის სიტყვით, ქართველი სპრინტერი კარგ ფორმაშია, ბევრს და სერიოზულად ვარჯიშობს. შეკითხვაზე — რა შანსი აქვს ომარს, მან პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და მითხრა, ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებსო...

გამომშვიდობებისას ომარ ფხაკაძეს მომავალ გეგმებზე ჩამოვუგდე სიტყვა. მითხრა, გამიჩნდა დიდი ოცნება, მინდა 1976 წლის ოლიმპიადაში მივიღო მონაწილეობა, დიდ სპორტს ოლიმპიური ჩემპიონის სახელით გამოვეთხოვოო...

ახდეს სიტყვა და სურვილი შენი, ომარ!

რევაზ მაჭავარიანი

ტალინი. 12 აგვისტო, 1973 წ.



სურათებზე: მარცხნივ — სტარტზეა ომარ ფხაკაძე (მარცხნიდან პირველი); რგოლის შემდეგ.



უნივერსიადის ოქრო და ვერცხლი

სასახელოდ გამოვიდნენ მოსკოვის უნივერსიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები. მათ მიერ მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის მედლები კიდევ ერთხელ ადასტურებს აზრს, რომ საქართველო სპორტული რესპუბლიკაა.

ყველაზე დიდი წარმატება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ჩვენმა ფალავნებმა მოიპოვეს. კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა ესტატი გოგლიჩიძემ, ჯემალ მეგრელიშვილმა, მიხეილ სალაძემ და შოთა მორჩილაძემ დაიმშვენეს მკერდი ოქროს მედლებით. უნივერსიადაზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა ქვეყნის მეორე ჩოგანმა თეიმურაზ კაკულიამ. იგი ჩემპიონი გახდა ერთეულთა თანრიგში. ოღონდ მოროზოვასთან ერთად კი უძლიერესი ვერ შეგედრებათ სისწრაფეში; მესამე ოქროს მედალი თეიმურაზს ვაჟთა წყვილთა ასპარეზობაში ერგო.

მედლებით დაბრუნდებიან თბილისში კალათბურთელები ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია. თუ რა ღირებულების იქნება ეს მედლები ამას ფინალური ბრძოლები დაგვანახებენ.

უნივერსიადის უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა წყალბურთელის ვლადიმერ ისელიძის გამოსვლა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წყალბურთელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა კიდევ ერთმა ქართველმა, ჭაბუკმა ნუგზარ მშვენიერაძემ.

ამჯერად ვერცხლის მედლებით „დაკმაყოფილდნენ“ მძლეოსნები, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი და ანატოლ მოშიაშვილი.

ამრიგად, საქართველოს წარგზავნილებმა ჯერ-ჯერობით უნივერსიადაზე **ოქროს 8 და ვერცხლის 2** მედალი მოიპოვეს.

გულშემატკივრები ოქროს მედლებს მოელიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეების ლევან თედიაშვილისა და ნოდარ მოდებაძისაგან. აღიარებული ფალავნები, ფინალისაკენ დამჯერებლად მიიწევენ.

„დინამოს“ გამარჯვება

ესპანეთში გამართული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად თბილისის „დინამოც“ მონაწილეობდა, ძალთა წარმომადგენლობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. ქართველ ფიზბურთელთა პირველი მეტოქე ესპანეთის ჩემპიონი მადრიდის „ატლეტიკო“ გახლდათ. ძირითადი დრო უშედეგოდ 0:0 დამთავრდა. დაინიშნა პენალტების სერია. აქ თავი ისახელა ჩვენმა მეკარემ დავით გოგიამ და გამარჯვებაც ანგარიშით 4:2 „დინამოს“ ხვდა წილად. ფინალში თბილისელთა მოწინააღმდეგე იყო ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი ლისაბონის „ბენფიკა“. მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა და იგი ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა გამარჯვებით დამთავრდა. თბილისელებმა სამჯერ აიღეს მეტოქის კარი. ორი ბურთის ავტორია ახალგაზრდა გარემარბი ვლადიმერ გუცაევი. მესამე ბურთი კი დათო ყიფიანმა გაიტანა. „ბენფიკამ“ თბილისელებს მხოლოდ ერთხელ დააწყებინა თამაში ცენტრიდან.

ჰაიდარ აბაშიძე

15 აგვისტოს შესრულდა 80 წელი გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის დაბადებიდან.

ჰაიდარ აბაშიძე ბევრს იღვწოდა აჭარელთა და ლაზთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და მტკივნეულად განიცდიდა ძმათა ბედს. 1916 წელს, სრულიად ჭბუკმა რომელსაც მხოლოდ ერთი აზრი ამოძრავებდა — მე ქართველი ვარ და საქართველოს მთლიანობას შევწირავ ჩემს ძალ-ღონესო — ტრაპიზონში მცხოვრებ ქობულეთელებს, რომლებიც მუჰაჯირობის ჟამს წავიდნენ უბით ჩაუტანა დედაენა — არ დაივიწყოთ, ისწავლეთო მშობლიური ქართული. იგი იყო პირველი, თავგამოდებით რომ დააყენა საკითხი გათიშული ძმების შეერთებისა.

ჰაიდარ აბაშიძის პირველივე წერილმა — „ხმა ქრისტიან მოძმეს“, რომელიც 1913 წელს „ბათუმის გაზეთში“ დაიბეჭდა, ქართველ ხალხს სამშობლო უბიდან მოწყვეტილი აჭარელი ძმებისა და დების ტკივილი აგრძნობინა.

თავის წერილში — „ცოტა რამ ჩემს მოღვაწეობაზე“, ჰაიდარ აბაშიძე წერდა: „ქართველი ხალხი არასოდეს არ ივიწყებდა თავის ძმებს და თავდადებით ექომაგებოდა თავის სამშობლოს დედა-ძეძუსაგან უკუღმართი ბედის წყალობით უსამართლოდ მოწყვეტილს. დიდი ილია ყოველთვის გვერდში გვედგა და გვანუგეშებდა: „ძმანო, დადგება დრო და თქვენს ტანჯვას ბოლო მოეღებაო“.

ჰაიდარ აბაშიძის წერილები, რომელიც სისტემატურად აღძრავდა და ემსახურებოდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს, მოწინავე საზოგადოების დიდ ყურადღებას იმსახურებდა. პროგრესული ინტელიგენცია მხარში ამოუდგა ჰაიდარ აბაშიძის წამოწყებულ საქმეს. იოსებ იმედაშვილი წერდა: „სწორედ ეხლა გვმართებს, როგორც იტყვიან, ფოლადის ჭალამანის ჩაცმა, რკინის კვერთხის ხელში აღება და ქვეყნითი ქვეყნად სიარული, რათა დავუმტკიცოთ ყველას, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ძმებია და მათი უფლებები ჩვენი უფლებაცაა“.

ჰაიდარი პირველი იყო რომელმაც დაურიდებლად აიმაღლა ხმა დაბეჩავებული, უფლებააყრილი აჭარელი ქალის დასაცავად, იმ ისტორიული უბედურების გამო, რომელმაც ქალი ჩაღრის ტყვედ აქცია და დედაკაცი უსულო ნივთად მიიჩნია, ქმარს დაუმონა.

პოეტი ქალი განდეგილი (დომინიკა ერისთავი) წერდა: „ქართველო ქალებო, გადაიკითხეთ აბაშიძის წერილი, თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ. მაშინ დამეთანხმებით, ამ სტრიქონების ავტორი უცრემლოდ ვერ წაიკითხავდა. უცრემლოდ-მეთქი, ვამბობ, ეს ცოტაა, მე ვქვითინებდი ბავშვივით. ხმა მივცეთ გულდაკოდილ დებსა და ძმებს, ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა. იგი ერთგვარი სიყვარულით ეპყრობა როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან ქართველს. ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი, რომ ორი საქართველო არ არის, რომ იგი ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება ყველას თანაბრად გვიკლავს გულს“.



ჰაიდარ აბაშიძე

იმ დღეებში აჭარელ ქალებს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა მეორე მგოსანმა ქალმა დარია ახვლედიანმა.

ცოტა მოგვიანებით ჰაიდარ აბაშიძე წერდა: „აჭარამ საუკუნეების განმავლობაში ცეცხლში გამოატარა თავისი ყოფა, თავისი ცხოვრება და აჭარელმა ქალმა — ამ სახელოვანმა ქართველმა დედამ, უმწიკვლოდ შეგვინახა და ბრძოლით მოიტანა ჩვენამდე ჩვენი ტკბილი მშობლიური ქართული დედაენა“.

ჰაიდარ აბაშიძე ეკუთვნოდა იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც წილად ხვდათ შეხვედროდნენ დიდ მგოსანს აკაკი წერეთელს. აბაშიძე სათუთად ინახავდა აკაკისთან შეხვედრის ძვირფას წუთებს: „მე მოწიწებით ფეხზე ვიდექი და აღტაცებით შევყურებდი დიდი მგოსნის მომღიმარ სახეს, მან ბევრჯერ გამიმეორა დავჯდარიყავი, მაგრამ მაინც ვიდექი, სანამ ხელი არ მომკიდა და გვერდით არ დამისვა. აკაკიმ მითხრა, რომ იგი ჩემი წერილების საშუალებით მცნობს და დასძინა: — გისურვებ წარმატებებს და სიმართლისათვის სამშობლოს ბრძოლის ველზე ქედი არავის წინაშე არ მოგეხაროსო.

ჩემთან საუბარი მან ამ სიტყვებით დაამთავრა: „მე ღრმად მწამს გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის დიდი მომავალი და ვნატრობ, მეც მოვესწრებოდე მის ბედნიერებას“.

1962 წელს ჰაიდარ აბაშიძე მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში, სადაც ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა ამ საზოგადოების დიდი საქველმოქმედო საქმის მნიშვნელობას, რამაც აჭარას შეუნარჩუნა დედაენა და ეროვნული კულტურა.

ჰაიდარ აბაშიძე ეკუთვნის იმ ბედნიერ მამულიშვილთა რიცხვს, ვისაც ქართული მიწის სიყვარული გულმხურვალედ უტარებია და ხალხის თანაგრძნობით აუმაღლებია ეროვნული ღირსებები. მის უზადოდ კეთილშობილ გულში თანაბრად ღვიოდა უბრალო გლეხისა თუ დიდი მოამაგე პიროვნების სიყვარული. იგი სათუთად ინახავდა ყველა ჟურნალ-გაზეთს, წიგნსა თუ მოსაწვევ ბარათს, რომელიც აჭარის ისტორიას უკავშირდებოდა. ხშირად იცოდა სათაყვანებელი საქართველოს ღირსეული შვილების მონახულება და თავისი წიგნის ბოძება. ერთი ამგვარი სტუმრობის დროს მეგობარი შინ არ დაუხვდა, მისთვის ნაბოძებ საჩუქარზე კი შემდეგი საპასუხო ბარათი მიიღო, რომელსაც დღეს პირველად ვაქვეყნებთ:

„პატივცემულო ბატონო ჰაიდარ! სალამი, კარგად ყოფნა, გამარჯვება და ხიხარული. თქვენმა საჩუქარმა დიდად მასიამოვნა, მიიღეთ უღრმესი მადლობა. მე არ ვიცი, რით დავიმსახურე თქვენისთანა მოღვაწის ყურადღება, რომ თქვენი ხელწერით შემკული თქვენი შესანიშნავი წიგნი ჩემს წიგნსაცავს შესძინეთ. თქვენი ნაშრომი მიღებისთანავე გადავსინჯე და უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ კარგი საჩუქარი მიუძღვენით ქართულ საისტორიო მეცნიერებას. თქვენს წიგნში ისეთი მასალებია თავმოყრილი სამშობლოს თავგადასავლიდან, რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთმა მოამაგემ, რა სპეციალობისაც არ უნდა იყოს ის, არ შეიძლება, ბატონო ჰაიდარ, თქვენ სიყვარულითა და მადლობით არ მოგიხსენიოთ...

მოწაფეობის დროიდან დაწყებული თქვენი სახელი მესმოდა სამშობლოს მძიმე წლებში, ბატონო ჰაიდარ. იმედად გვყავდით მარადჟამს, იმედი და მაგალითი ბრძანებულიყავით ახალი თაობისათვის, მრავალჟამიერ სიცოცხლე თქვენი. ღრმად პატივისცემით და მადლობით, იასე ცინცაძე“.

ჰაიდარ აბაშიძე დიდი გულმოდგინებით ადევნებდა თვალს აჭარელი მწერლების მოღვაწეობას. არაფერი ახარებდა ისე, როგორც ჩვენი შემოქმედებითი ზრდა და წარმატება. აჭარაში ჩამოსვლისას აუცილებლად მომინახულებდა, დიდი სიყვარულითა და მშობლიური მზრუნველობით იკითხავდა ჩემს ახალ ნაწარმოებებს და ხარობდა ყოველი ახალი წიგნის გამოსვლით. მინდა მკითხველებს გავაცნო ერთი ჩემი ლექსის ისტორია:

1960 წელს „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე დაიბეჭდა „აჭარელო დიდო დედავ“. ერთ-ერთ მკითხველს იგი ამოუკრია და ჰაიდარისთვის ბარათით გაუგზავნია — ვიცი, გაგეხარდება ამ ლექსის წაკითხვაო. ჰაიდარს გახარებია, და უჩვენებია ქართული თეატრის ამაგდარისთვის — პოლიო გერსამიასთვის, რომელსაც იგი კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილთან მიუტანია და უთხოვია: თუ ძმა ხარ, ამ ისტორიულ ლექსს შესაფერისი ხალხური მუსიკა დაუწერეო, როგორც შემდეგ ჰაიდარ აბაშიძისაგან გავიგე, ფოცხვერაშვილს მთელი გულისყურით უმუშავია და საამო ჰანგი შეუქმნია.

დაბადების 70 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურულ შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა ჰაიდარ აბაშიძეს ბევრი შემოქმედებითი შეხვედრა გაუმართეს. ეს თარიღი განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნა აჭარამ. 1964 წლის 20 იანვარს ბათუმის დრამატულ თეატრში გამართულ საღამოზე ხალხი დიდი მადლიერებით შეხვდა ამ უანგარო მოღვაწეს. იუბილარი განსაკუთრებით აღელვა და თვალზე ცრემლი მოჰგვარა კრიტიკოს ვლადიმერ ზამბახიძის გამოსვლამ. უზომოდ გახარებულმა ჰაიდარმა მშობლიური სიყვარულით ჩამომართვა ადრესი, რომელიც აჭარაში მომუშავე მწერლების დავალებით წავუკითხე. აჭარის საზოგადოებრიობას დიდხანს ეხსომება მისი მგზნებარე სამადლობელი.

დიდუბის პანთეონში, საზოგადო მოღვაწეთა მარადიულ განსასვენებელ ადგილას, იოსებ იმედაშვილისა და პაოლო იაშვილის ახლოს, საუკუნო ძილს მისცემია ჰაიდარ აბაშიძის სამშობლოს მოსიყვარულე გული...

ნანა გვარიშვილი

კვლავ იზმირში

20 აგვისტოს იზმირში გაიხსნა საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, რომელიც 20 სექტემბრამდე გასტანს. საბჭოთა საქართველო თურქეთში კვლავ დამრუკიდებელი განყოფილებით წარდგა. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **რაფიელ ელიგულაშვილი.** საუბარი ჩაწერა **ნადია მებაღიშვილმა.**

საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებს აქვთ მეტად კეთილშობილი მიზანი — ქვეყანათა შორის სავაჭრო, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარება-განმტკიცება. ამ საერთო ღონისძიებებში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკას. თითქმის ყველა გამოფენაზე წარმოდგარა საბჭოთა საქართველო თავისი ექსპონატებით და ყველგან და ყოველთვის დიდი მოწონება დაუმსახურებია. შედეგიც სასიამოვნოა — მსოფლიოს 70 ქვეყანაში 300-ზე მეტი დასახელების საექსპორტო საქონელი იგზავნება საქართველოს მარკით.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელი განყოფილებით პირველად სწორედ იზმირში წარდგა 1965 წელს. შემდეგ საგამოფენო გზამ ამავე წელს თეირანში მიიყვანა, 1967-ში ალჟირში, 1968 წელს კი კვლავ იზმირს აწვია, 1969 — თეირანს, 1970 — პარიზს, 1971 — ბაზელს, 1972 წელს კაიროს, 1973 წელს დასავლეთ ბერლინს, ეხლა კი კვლავ იზმირში ვართ უკვე მესამედ. იზმირში მეორედ სტუმრობისას საბჭოთა საქართველომ ღადო მესხიშვილის პროექტით ააგო საინტერესო კონსტრუქციის პავილიონი, რომელიც დღეისათვის თანამედროვეობასთან შეხამებული ორიგინალური ქართული ორნამენტებით მხატვრულად გაფორმა ქართველ არქიტექტორთა და მხატვართა ჯგუფმა რამაზ კიკნაძის ხელმძღვანელობით. პავილიონი ათას კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს. აქ წარმოდგენილი ექსპონატების სახეობათა მიხედვით იგი დაყოფილია, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარ კუნძულებად. პავილიონის შესასვლელთან აღმართულია საქართველოს გერბი ქართულ და თურქულ ენებზე წარწერით „საბჭოთა საქართველო“, „Sovyet Gürcüstan“.



გამოფენაზე წარმოდგენილია დაახლოებით ორი ათასამდე დასახელების ექსპონატი, ფოტორეპროდუქციები, რითაც აისახება ჩვენი რესპუბლიკის ისტორია, დღევანდელი დღე, კულტურა, მრეწველობა, ეკონომიკა, სახალხო მეურნეობა, მანქანათმშენებლობა... ყველაფერი ისეა მიწოდებული, რომ დამთვალიერებელი გაეცნოს ჩვენს რესპუბლიკას, თვალნათლივ დაინახოს ის უდიდესი წინსვლა, რასაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე.

განსაკუთრებით საინტერესოა განყოფილება, სადაც წარმოდგენილია ჩვენთან შექმნილი ახალი დარგების ნაწარმი — ელექტრონტექნიკური, გამომთვლელი მანქანები, პიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, გემების, წყალქვეშაფრთიანი კატარღების მოდელები და მრავალი სხვა.

სწავლულთა ყურადღებას იზიდავს კულტურის განყოფილება, სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი მათემატიკის, ფიზიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის, მედიცინის მუშაკთა შრომები. დიდ მოწონებას იმსახურებს ქართველ ხელოვანთა ჭედურობა, ქართული კერამიკის ნიმუშები; შეგახსენებთ, რომ ბერლინის საერთაშორისო გამოფენაზე ჭედურობის თითქმის მთელი საგამოფენო ნაწარმი შეისყიდეს დიდმა ფირმებმა ინტერიერების გასაფორმებლად.

საინტერესოდ არის წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის განყოფილება. მხატვრული ფოტოებითა და ნიმუშებით ნათლად არის ასახული დიდი მიღწევები. ფოტოსტენდები მნახველთ მოუთხრობენ ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებზე, მოწინავე ადამიანებზე, მათ სწავლასა და გარჯაზე, თუ რას თესავენ და იმკიან საკუთარი შრომითა და მარჯვენით. კარგად არის ნაჩვენები ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. საქართველოს ნაწარმიდან მსოფლიოს ბაზრებზე დიდი მოთხოვნილებაა ლითონმჭრელ ჩარხებზე (ინგლისი, ავსტრალია, ბელგია, იტალია, დასავლეთი გერმანია, ეგვიპტე), წყალქვეშაფრთიან კატარღებზე, თბომავალ კომეტაზე (აშშ, კანადა, საფრანგეთი, შვეცია), ელექტრონშემდუღებელ მოწყობილობებზე, ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოზე“, რადიოდანადგარებსა და ელექტრონტექნიკურ მოწყობილობებზე. რაც შეეხება ჩვენს პიდროდანადგარებს, ისინი მსოფლიოს 50 ქვეყანაში იგზავნება. მოთხოვნათა რაოდენობა კი დღითიდღე იზრდება. რუსთავის ფოლადზე (ავსტრია, შვეიცარია), ფეროშენადნობები კი პირველი მოთხოვნილების საგანია — მასზე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა გვიგზავნის შეკვეთას.

გამოფენისათვის გამზადდა ქართულ და თურქულ ენებზე დაბეჭდილი ბუკლეტები, რომლებშიც მოკლედ არის ასახული ჩვენი რესპუბლიკის ისტორია, მისი დღევანდელობა, საექსპორტო ნაწარმი, ქვეყნის მიღწევები მისი არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე. დამთვალიერებელთათვის გამზადებულია ორიგინალური სამკერდე ნიშნები. მოკლემეტრაჟიანი სარეკლამო ფილმები და სლაიდები დაინტერესებულ პირთ მოუთხრობს საქართველოს მოწინავე, გამრჯე ადამიანებზე, მათზე, ვინც ააშენა და კეთილყო საბჭოთა საქართველო.

14 სექტემბერს მოეწყობა საქართველოს რესპუბლიკის დღე. ჩვენი პავილიონი უმასპინძლებს თურქეთისა და გამოფენაში მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს.

იზმირის საერთაშორისო გამოფენაზე ყველაფერი წარმოდგენილია ისე, რომ ყოველ რიგით დამთვალიერებელს ნათელი წარმოდგენა შეექმნას ჩვენს ქვეყანაზე.

ვფიქრობთ, ეს გამოფენა კიდევ მეტად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

რედაქტორი გივი ქარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.